წელიწადი მეორე. № 45. 16 ნოემბერი. 1878 წ.

**ხელის-მოწერა:**

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ყორღანოვის სახლებში № 4.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

**«ივერიის» ფასი:**

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . — 15.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**გამოდის ხუთშაბათობით**

ტფილისი

მომავალ 1879 წლის იანვრიდამ გაზეთის „ივერიის" მაგივრად გამოვა ტფილისში ჟურნალი

# ივერია

შემდეგის პროგრამმით:

I **საქართველოს მატიანე:** განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის საზოგადოებრივს მომდინარე ცხოვრებას და მთავრობითი წარმოებას.

II. **საპოლიტიკო მიმოხილვა:** განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადოებრივის მომდინარე ცხოვრებისა.

III. **რუსეთის მატიანე:** დრო გამოშვებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოის წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებას.

IV. **ბელლეტრისტიკა:** მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

V. **კრიტიკა.**

VI. **ბიბლიოგრაფიული ცნობები:** მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.

VII. **ცალკე წერილები** შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.

VIII. **კორრესპონდენციები** შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„**ივერია**" გამოვა თვეში ერთხელ.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში, „ივერიის" რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4. აგრეთვე გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშუეთის ეკკლესიის ქვემოდამ.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „ИВЕРІИ."

„**ივერიის**" ფასი—წელიწადში: ტფილისში მცხოვრებთათვის . . . . . . . . 11 მან.
გარეშე მცხოვრებთათვის . . . . . . . . . 12 მან.
ექვსის თვით: ტფილისში მცხოვრებთათვის . . . . . . . . 5 მ. და 50 კ.
გარეშე მცხოვრებთათვის . . . . . . . . . 6 მ. და 50 კ.

---

გაზეთი „ივერია" დეკემბერში აღარ გამოვა. ხელის მომწერლებს ამ ნომრების მაგივრად დაურიდებათ იანვარში პირველი წიგნი ჟურნალისა. ამის გამო აწინდელ ხელის მომწერლებისათვის ჟურნალის ფასი 1879 წ. იქნება 11 მან.—გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან.—ტფილისში მცხოვრებისათვის.

F-3051

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" გამგებელ კომიტეტისაგან.

1879 წ. იანვარში იხსნება ქ. ტფილისში შკოლა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" ვაჟების მოსამზადებლად საშუალ-სასწავლებელთ (გიმნაზიების) პირველ კლასისათვის.

ჯერ-ჯერობით შკოლა გამართულ იქნება ოთხმოცის ვაჟისათვის, რომელთა შორის ოც-და-ათი შიგ შკოლაში იქნებიან დაბინავებულნი და ორმოც-და-ათი მოსიარულენი. შიგ მცხოვრებთა შორის ათი იქნება უფულოდ, ესე იგი „საზოგადოების" ხარჯით; თხუთმეტი თავიანთ ხარჯით, რომელთაც უნდა შეიტანონ ოც-ოცი თუმანი წელიწადში; ხუთიც იმისთანა ყმაწვილი, რომელთაც შეუძლიანთ შეიტანონ ამ ფულის მხოლოდ ნახევარი, ესე იგი ათი თუმანი მომსვლელ შეგირდებთა შორის თხუთმეტი ისწავლის უფასოდ, ესე იგი „საზოგადოების" ხარჯით, დანარჩენ ოც-და-თხუთმეტმა ყმაწვილმა უნდა შეიტანონ თვითოემ წელიწადში სამი თუმანი სწავლის ფული. ყველა ეს ფული შეტანილ უნდა იქმნეს ექვს თვეში ერთხელ წინადვე. შკოლაში მიიღება ყველა წოდების ყმაწვილი. „საზოგადოების" ხარჯით მიღებულ იქმნებიან ამა „საზოგადოების" წესდების პირველ მუხლის ძალით ის ყმაწვილები, რომელთა მშობლები არიან საზოგადოების წევრნი და ცხოვრობენ ტფილისის გარედ. შკოლაში მიიღება ყმაწვილი შვიდის წლიდამ ვიდრე ათ წლამდე, და იმ განყოფილებაში, რა განყოფილებასაც შეეფერება მისი ცოდნა და წლოვანობა.

არზა ყმაწვილების მიღების თაობაზედ უბრალო ქაღალდზედ უნდა იქმნეს დაწერილი გამგებელ კომიტეტის სახელობაზედ და მიეცეს ან „საზოგადოების" თავმჯდომარეს დ. ლ. მამაცოვს კუკიაში, საკუთარ სახლებში, ან სეკრეტარს, ნ. დ. ქანანოვს, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4.

არზას უნდა მოჰყვეს დაბადებისა და ნათლობის მოწმობა მოძღვრისაგან.

ვისაც დაწვრილებით ჰსურს საქმის გამოძიება შეუძლიან მიმართოს ან „საზოგადოების" თავმჯდომარეს ან სეკრეტარს.

---

სარჩევი: I. საქართველოს მატიანე: წვრილი ამბები. იმერეთი („ივერ." კორრეს.) კახეთი („ივერიის" კორრესპ.)—II. №-თან მიწერ-მოწერა.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა.—IV. რუსეთი.—V. სამი ათასი ფრანკი. (მოთხრობა, ალფონს დოდესი.)—VI. რამეთუ კაცი ვარ (შემდეგი).—VII. განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

წლევანდელ წელს ჩვენ ტფილისის გუბერნიის სასოფლო შკოლებისათვის, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ცვლილება მოხდა. დღეის იქით ყმაწვილების სწავლა და ჭკუა-გონების გახსნა ცოტად თუ ბევრად იმ ნიადაგზედ უნდა დამყარდეს, რომელიც დიდი ხანია პედაგოგიის მხრით გამოკვლეულია. როგორ წავა ნამდვილად საქმე, რა მოგახსენოთ. გზა ცოტაოდენად გახსნილია, და საქმის მიმდინარეობა და წარმართება ბევრად დამოკიდებულია თვით მოღვაწეებზედ. მაგრამ ქუთაისის გუბერნიის სასოფ. შკოლებს კი არ ღირსებიათ ცვლილება და ისევ ძველ გზას ადგანან; საქმე ისევ ისე ცუდად და არეულ-დარეულად მიდის თურმე, როგორც ამ ოთხი-ხუთის წლის წინად. მართალია, ერთი ცვლილება კი მომხდარა: დირექტორი ტროიე გარდაუყენებიათ და მის ნაცვლად უფ. მარსოვი დაუნიშნავთ. უფ. ტროაეზედ ცუდს ვერას იტყვის კაცი, რადგანაც ის, შეძლებისა მებრ, თავს არ არიდებდა შრომას; ის ცდილობდა როგორმე ხეირიან გზაზე დაეყენებინა შკოლები, მაგრამ, როგორც ყოველს ახალს საქმეს ყველგან და ყოველთვის, ამ საქმესაც დიდი დაბრკოლება მიეცა სხვა და სხვა მხრით.

უნდა მოგახსენოთ, რომ შკოლების საქმე ქუთაისის გუბერნიაში ამ უკანასკნელ დროში დაეცა სხვა და სხვა მიზეზის გამო. ერთის მხრით თავის საქმისთვის მოუმზადებელნი მასწავლებელნი და მათი გულგრილობა იყვნენ მიზეზად.

გარდა ამისა იყო კიდევ მიზეზი, რომლის გამოც ხალხი არიდებდა შკოლას თვის შვილებს: მას ეშინოდა რომ შკოლაში ნამყოფ ყმაწვილებს უსათუოდ სალდათათ წაიყვანენო. მაგრამ ამ უკანასკნელმა ომიანობამ სრულიად გააუქმა ეს მიზეზი. ომის წინ ყოველი კაცი ფიქრობდა—ჩვენს შვილებს სალდათად წაიყვანენო, მაგრამ ეხლა, როდესაც ომი გათავდა

და მილიციონერები ისევ შინ დაბრუნდნენ, ყველა მიხვდა, რომ ომის დროს, ვინც უნდა იყოს, ნასწავლი თუ უსწავლელი, თუ კი კენჭი ერგება, უნდა წავიდეს მილიციონერათ. ისიც კარგა დაინახეს, რომ ნასწავლ კაცს მილიციაში უფრო პატივი ეძლევა და სხვ. ვისურვოთ რომ ზემოხსენებული მეორე მიზეზიც საქმის დაბრკოლებისა გამოეცალოს ქუთაისის გუბერნიის შკოლებს და ერგოთ მათ კარგნი, ერთგულნი და კეთილნი მასწავლებლები. მაგრამ საქმის წარმატებისათვის ყველა ეს საკმაო არ არის, თუ თვითონ შკოლა ქუთაისის გუბერნიაში ძველ კალაპოტში იქმნება ჩამდგარი და იმავე გზას მაინც არ დაადგება, რომელზედაც ამ ჟამად დაყენებულნი არიან ტფილისის გუბერნიის სასოფლო შკოლები. ჩვენს ხალხს, ყველამ იცის, ძრიელა ჰსურს სწავლა; მაგრამ თუ შკოლაში სწავლის საქმე ცუდათ წავიდა შენი მტერი ჩვენ შევაძულებთ მას სწავლას და დღეს სულითა და გულით სწავლის მსურველი ხალხი, ხვალ შკოლების მტერი და მდევნელი გახდება. ამისთვის ჩვენი ვალია შკოლების საქმე დავაყენოთ ნამდვილს პედაგოგიურს ფეხზე და მოვსპოთ ის სიცუდე, რომელიც უშლის შკოლის გაუმჯობესობას. თაოსნობა ამ საქმეში, რასაკვირველია, უნდა იკისროს შკოლების უფროსმა და ამისთვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი დირექტორი, უფ. მარსოვი, თავის ხელქვეითი შკოლებს მომავალისათვის მაინც დააყენებს ნამდვილ პედაგოგიურს გზაზე. მრავალი შრომა მოელის მას: უნდა გაიცნოს ხალხი, მისი სურვილი და მიდრეკილება, და ამის დაგვარად დაიჭიროს თავისი საქმე. უამისოდ საქმის წარმატება შეუძლებელია.

---

„დროებაში" იწერებიან: „ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად აჭარიდამ, ბათუმიდამ და ქობულეთიდამ გამოგზავნილი დეპუტაცია, რომელთ შორის ურევია ამ ქვეყნების წარჩინებულნი და გავლენიანი პირები.

დეპუტაციას შეადგენს სულ თოთხმეტი კაცი: ჰუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანი-შვილი), ჰასსან-ბეგ ბეჟან-ოღლი, — აბაშიძე-ბეგ, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმის სასულიერო მსაჯული ჰასსან-ეფენდი (სურმანიძე), ჰუსსეინ-ბეგ სანჯაჰბეიშვილი, ოსმან-ბეგ მაქრიალი, ჰამედ-ეფენდი (მარადიდელი), ემინ-ეფენდი (არდანუჯელი), კათოლის მღვდელი, სომხის მღვდელი, ბერძნის მღვდელი, და სხვ.

12 ამ თვეს ისინი გამოეცხადნენ თ. სვიატოპოლკ-მირსკისა და შტაბის უფროსს ღენ.-პავლოვს. ამ დღეებში ამათ ინახულებს დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი. ისინი ჩამოსულან აქაურ უმაღლესს მთავრობის წინაშე თავიანთ ერთგულებისა და ქვეშევრდომითი გრძნობის გამოსაცხადებელად.

ეს პირველი მოსვლაა ერთ დროს ჩვენი მოძმეების და დროთა-ვითარებისაგან ჩვენგან განშორებულის ხალხის წარმომადგენლებისა საქართველოს ძველ დედა-ქალაქში — თფილისში. ორას წელიწადზე მეტია, რაც ისინი მოგვშორდნენ, მათ შეიცვალეს სარწმუნოება, დაემორჩილნენ სხვა, უცხო ხელმწიფეს, განსხვავებულ კანონებსა და წესებს. მაგრამ ერთი შეხედვა საკმაოა, რომ ამათში ახლაც ძველი, ნამდვილი ქართველები გამოიცნოს კაცმა. იგივე სახე, იგივე ენა, ისვე მიხრა-მოხრა, ხასიათი, ზნე და სხვა ყველაფერი.

ბედნიერი იყოს ამათი მოსვლა ჩვენს დედა-ქალაქში! უბედურ ისტორიულ გარემოებათა წყალობით განშორებულნი ძმები ხელ-ახლად ძმურად, მეგობრულად, ერთმანეთს ერთგულებით და დანდობით შევეყაროთ და შევუერთდეთ!

ამ ხნობით კი ჩვენი უგულითადესი სალამი გვიძღვნია ამათთვის...."

---

„დროებასვე" შეუტყვია: „რომ ბათუმის, ქობულეთისა და აჭარის დეპუტაცია ორშაბათს, დილით გამოცხადებია დ. მ. კავკასიის ნამესტნიკს. ამათ ახლდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კომაროვი და ართვინის მაზრის უფროსი უფ. მიხ. მეფისოვი.

დიდ მთავარს დიდის პატივის-ცემითა და ღმობიერებით მიუღია დეპუტაცია. თითოეული წევრი უკითხავს: — თუ ვინ არიან, სად, რომელ ომში მიუღიათ ჩინები და ორდენები და როგორ მოსწონთ ახლანდელი რუსის მთავრობა. შემდეგ ყველასთვის მიუმართავს თავის მოწყალე სიტყვა, რომ სთხოვონ — რაცა აქვთ სათხოვი და, თუ შესაძლებელი იქნება, ავასრულებო. დეპუტაციას არა-

ვითარი განსაკუთრებული თხოვნა არ ჰქონია გამოსაცხადებელი.

ბოლოს დიდ მთავარს უთქვამს ამათთვის, რომ იცხოვრეთ კარგათ, მშვიდობით და დარწმუნებული იყავითო, რომ ჩვენს ხელში თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება, თქვენს ქონებასა და სარწმუნოებას ჩვენ შევიწყნარებთ და პატივს ვცემთ ისე, როგორც ყველა სარწმუნოებასაო; ამას გარდა თქვენ გავლენიანი კაცები ხართ თქვენს ქვეყანაში და გთხოვთო, რომ დაეხმაროთ ყველა საჭირო შემთხვევაში თქვენს ადგილობრივ მთავრობასო, და სხვა ამ გვარები. შემდეგ გამოთხოვებია დეპუტაციას და გამოუშვია.

ყველა წევრები დეპუტაციისა დიდ კმაყოფილებასა და. სიამოვნებას აცხადებენ დიდის მთავრისაგან ამისთანა პატივის-ცემითა და ღირსეულად მიღებაზედ.“

---

**იმერეთი.** („ივერიის“ კორრესპონდ.) ვისაც ამ სამი-ოთხი წლის წინედ გაუვლია იმერეთის სხვა და სხვა სოფლებში, ის ამ ჟამად იმ სოფლებს იპოვის ასჯერ უფრო ცუდს მდგომარეობაში, ვიდრე უწინ უნახავს. 1872 წლიდამ მოყოლებული აქ თითქმის ყველა საზოგადოებაში დაიწყეს საზოგადო სიმინდის მაღაზინების შენება. იშვიათად ნახავდით საზოგადოებას მაღაზინი არ გაეშენებინოს და სიმინდი არ შეეგროვებიოს. მაღაზინების საქმე ორ სამ წელს კარგად მიდიოდა. ზოგ მაღაზიაში სამი ათას ფუთზე მეტი სიმინდი შეგროვდა. ერთის სიტყვით თითოეულს საზოგადოებას შიმშილობის დროს შეეძლო, ერთს წელს სრულიად მოსავალიც რომ არ მოსულიყო, თავის გატანა შეუწუხებლად. ამ უკანასკნელს დროში კი ეს მაღაზინები ცარიელნი, თავ-გარდახდილნი შეჰსცქერიან გამვლელ-გამომვლელს, თითქო ევედრებიან ისევ სიმინდის შეგროვებასაო, მაგრამ შენი მტერია არც ერთმა გამვლელმა მას ყური არ ათხოვა. დღესაც ისევ ისე თავგარდაგლეჯილნი არიან და ცარიელნი, როგორც გუშინ. სასოფლო მაღაზინების მნიშვნელობა, მათგან სარგებლობის მოტანა ვისაც ცოტად მაინც ესმის, ის ამ დაწყებულს საქმეს ხელს მიჰყოფს და ისევ გაანაღვიძებს მაღაზინების მიძინებულს საქმეს .. ნუ თუ ადგილობრივს მართებლობას არ ესმის ამ მაღაზინების სარგებლობა? ნუ თუ ამ საქმეს ის თვალ-ყურს არ უნდა ადევნებდეს? ნუ თუ ეს მისი საქმე არ არის? ნუ თუ ის არ მოჰკითხავს სოფლის მაღაზინების ზედამხედველებს ანგარიშს, რომელიც ყოველ თვეში თუ არა სამ თვეში მაინც უნდა წარუდგინოს მას? ნუ თუ არ შეატყობს სად დაიკარგა სვირის, დიმის, ბაღდადის, კულაშის, მარნის, ბანძის, სენაკის, სუჯუნის და სხვა სოფლების მაღაზინების სიმინდი?!

საცოდავ გლეხებს ცარიელი თავ-მოფლეწილი სასიმინდეები უმისოდაც დადაგულს გულს უღაგვენ. იმერეთში ამ ჟამად ამ დაცარიელებულის მაღაზინების წყალობით ვერაფერს კეთილს საქმეს ვეღარ ჩააგონებთ გლეხს; ყოველს შენს ნათქვამს, რაც უნდა მოსაწონიც იყოს მისთვის, დაგირღვევს სულ უბრალო საბუთით, გეტყვის — „რაც მაღაზინებიდგან ზეთი გამოდნა, ის მაგ შენის ბანკიდამ, შკოლიდამ თუნდა დეპოდამ გამოდნებაო. ჩვენი ბედი ტანჯვა, კვნესა, შრომა და მწუხარება არისო; ჩვენ არაფერი არ გვიშველისო; ვისაც დავენდვეთ ყველამ მოგვატყუაო. აწ მაინც აღარავის ვენდობითო“. აი ჩვენი იმერელის გლეხის უკანასკნელი სიტყვა, როდესაც რამე კეთილს და სასარგებლო საქმეს ურჩევთ მას. ჩვენებური გლეხი ისე უმეცარი არ არის, რომ ავი და კარგი ვერ გაარჩიოს, მაგრამ საწყალი ისე დაშინებულია სხვებისაგან, რომ არ შეუძლიან რამე საქმეს ხელი მოჰკიდოს. როგორ უნდა გავსდევნოთ ეს სხვებზე დაუნდობლობა ჩვენის გლეხებისა? ჩვენ, თუ რომელიმე საზოგადოებაში გვსურს კეთილის საქმის გაკეთება, თვითონ თვალ-და-თვალ უნდა დავანახვოთ მას, რომ ჩვენი სიტყვა მარტო სიტყვა არ არის; ჩვენ სიტყვასთან საქმეც უნდა შევაერთოთ, თორემ არაფერი ეშველება ასე ყოვლის მხრით დაცემულს ჩვენს გლეხს. მაშ

„მივსცეთ ერთმანეთს ყველამ ხელი ხელს,
ვიცხოვროთ ძმურად და თანასწორად...“

დავეხმაროთ გაჭირვებულს გლეხებს. კმარა თბილ სახლიდამ ქადაგობა. აწ მაინც გამოდით, ხომ ხედავთ ცარიელი სიტყვა ქარი ყოფილა, როგორც ქარი ისე გაივლისო, ამბობენ გლეხები. აი ნამდვილი ჭეშმარიტი სიტყვა ჩვენის გლეხისა დაკვირვებით გამოტანილი ზოგიერთ მქადაგებელთ ცხოვრებიდამ.

---

კახეთი. („ივერიის“ კორრესპ.). ალავერდობა თუმცა ენკენისთვეში იყო, მაგრამ მაინც ვიტყვი ორიოდე სიტყვას ამ შესანიშნავს დღეობაზე. ამ წელს თვით დღეობაზე, 14 ენკენისთვეს, შედარებით მეტად ცოტა ხალხი იყო, ნამეტნავად ქართველობა; თუ იყვნენ, უფრო თუშები, ქისტები და ინგილოები. მაგრამ სწორზე კი ძრიელ ბევრი ხალხი გახლდათ. ალავერდობას მომეტებულს ყურადღებას ქისტის ქალები იქცევდნენ თავის ნაზის სამშვენიერობით. ამ დღეობისათვის თფილისიდამ ბლომა ჯიბგირები გახლდნენ მოსულნი, რომლებმაც საკმაო საშოვარი იშოვეს და საკმაოდაც იცემეს. ჭიდაობაც არის ხოლმე, მაგრამ ამ დროს ერთი მეტად ცუდი ჩვეულება იციან: მაყურებელს „დაბალს“ ხალხს ჩაფრები მათრახითა ხოცვენ... ვითომ რათ? რადგან ბიბოლები არიან,—იმისათვის მხოლოდ იმათ უნდა უყურონ? გაინძერით, გადადგით ფეხი და ადგილი დაიჭირეთ საყურებლად. მაგრამ, ბატონებო, აქაური ბიბოლები „ბეჯითი ბატონები“ არიან... ერთი შეიხედეთ ფანჩატურში, როგორ გადაწოლილა ფაშვიანი, ქამა სოკოებით მხრებზე ბიბოლა, რომელიც სიზარმაცით უბძანებს ჩაფრებს: „დაჰკარით მათრახი მაგ ოხრებს, ვერა მხედავენ რომ აქა ვზივარ?!“ ბიბოლები, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ დღეობებში არა მეცობენ. იგენი სხვა და სხვა საქმეებშიაც ერევიან და ამით რევენ საზოგადო წყობილებას. მაგალითად, იმისთანა გვამებმა მიიღეს მონაწილეობა „კენჭის ყრაში“, რომელთაც არავითარი საქმე არა ჰქონდათ. რადგანაც მათ პირდაპირ თვითონ არა შეეძლოთ რა—იგინი თურმე მოხელეებს ხმარობდნენ საშუალოდ თვისას ჯიბის გასატენად. აი ერთი მაგალითი: ერთი შილდელი კაცი, რომელსაც კენჭი შეხვდა და თელავში წავიდა მილიციაში წასასვლელად, მესამე დღეს ისევ შილდაში დაბრუნდა მხიარულად. როდესაც გლეხებმა—მეზობლებმა ჰკითხეს დაბრუნების მიზეზი, მან თამამად მიუგო: „თუმცა კენჭი შემხვდაო, მაგრამ ერთი თუმანი „დრიალას“ მივეცი, ერთი თუმანი „დროჯის“ და ამომიშვეს კენჭიდგან“... ამ გვარი მაგალითები 20-40 იყო.... ამ გვარს ბოროტ-მოქმედებას გამომძიებელი თავ. ერისთვიშვილი, იმედია, ამოაჩენდა და აცნობებდა უმაღლეს მთავრობას. თელავის მოქალაქეებმაც კი ბლომა აბები ჩააყლაპეს ბიბოლაებს კენჭის ყრის დროს „ამოშვებისათვის“. ყველამ აშკარად იცის, რომ ამა და ამ ბიბოლამ ფული „ჩაასვენა“ ქრთამად, მაგრამ რომ უთხრათ რამე საშინლად განრისხდება.... ესენი კიდევ ჰო, ამათ გსთქვათ არ ესმისთ თვისი დანიშნულება, მაგრამ დაბალ მოხელეებსაც რომ სწყინთ მათის ნაკლულევანების და შეცდომაების გამოაშკარავება! ბატონო, ამათ ხომ თვალების წინ უწყვიათ კანონები, თუ რაში მდგომარეობს მათი დანიშნულება, ესენი რატომ აღარ სცდილობენ მოიქცნენ ისე, როგორც კანონები ეუბნებიან? რადა სწყინთ მათ საზოგადოებისაგან შენიშვნები? მე მგონია, რომ ცოტად მაინც „ჭკვიანს“ კაცს თავის დღეში არ ეწყინება თავის თავზე სხვის შენიშვნა, თუ იგი (შენიშვნა) საფუძვლიანია. ჩემის აზრით უფრო მადლობელნი უნდა იყვნენ იმისი, ვინც სარკე მიუტანა, ჩაახედა და თვისი მოთხუნული—ჭუჭყიანი პირის სახე დაანახვა: გაისუფთავეო! უბედურება ისაა, ჩემო ბატონებო, რომ ჩვენს მოხელეებში არავინ არის ხეირიანი, ერთის გარდა, რომელიც ბევრს ვაი-ვაგლახს ეწევა, მაგრამ რას ჰქმნას? დანარჩენებს კი თავის მოყვარეობის და კავალერობის მეტი არაფერი შეუძლიათ. მოდი შენ ახლა და ამ გვარის მოხელეების ხელში მაზრა წინ წასწიე—რომ არ შეიძლება! იმისი არ იყოს: აქამდის ერთს მოხელეს ვერ იპოვიდით სანთლით მაზრის სამმართველოში რაც გინდა საქმე გქონოდა; ეხლა კი, საქმეც რომ გქონდეს სამმართველოში აღარ გიშვებენ 12-ს საათამდინ—„არ შეიძლებაო!“—გეტყვისთ მედღევე ჩინოვნიკი, მჯდომი კარებში. ვეჟო თუ კი ამას წინად 7-8 საათზედაც შეიძლებოდა სამმართველოში „დაუკითხავადაც“ შესვლა, ეხლა რატომ აღარ შეიძლება 12-ს საათამდინ ისიც „დაკითხვით—დოკლადით“? ახალი კანონები ხომ არ გამოჰქექეთ არხივიდამ? თუ „ხატისაგან“ მოხდა ეს ცვლილება?.... შვილოს, როცა სიცხე დაგადგათ, მაშინ აღარ შეიძლება „უდოკლადოთ“ 12 საათამდინ შესვლა სამმართველოში? აგრე უცბად არ უნდა შესცვალოთ თქვენი წესი და რიგი, თორემ თქვენ იცით... რადა ბევრი გავაგრძელო, თელავის დაბალ ადმინისტრაციას ასე ნაირად შესთვისებია ბოროტ-მოქმედება, რომ უნებურად სულ

უკუღმართად იქცევა. მაგრამ როდესაც კი მთავრობა შეიტყობს და მოსთხოვს პასუხს — იმ წამსვე-თუ შეიძლება გაასწორებს საქმეს. აი თუნდ ის ამბავი, რომელიც „დროებაში" ცხენების დარიგებაზე იყო. თელავის მოხელეობამ მიიღო თუ არა მთავრობისაგან მოწერილობა ამ საგანზე, მეორე-მესამე დღესვე გამოართვა ცხენები იმ თავად-ვაჭარ-არენდატორ-ჩინოვნიკებს, რომლებმაც აიყვანეს, და დაურიგეს იმ ხალხს, ვისთვისაც იყვნენ გამოგზავნილნი... ეს ამბავი ამ თვის 1-2-ს მოხდა. რადა ბევრი გავაგრძელო, თელავის მაზრას არასფერი უჭირს, გარდა კარგის და სინიდისიანის მოხელეებისა: ღვთის მადლით პური ბლომად მოსდით და ღვინოც. ჯანმრთელობაც ჰსუფევს ამ ჟამად კახეთში. ურმის ქირასაც კარგს იღებენ გლეხები 30—40 მანეთს თფილისამდინ. ღვინის მუშტარი მაჭრობას ბევრი იყო, ამ ჟამად კი გაჰქრნენ. იქნება იმისათვისაც, რომ, როგორც „დროება" გვაცნობებს, ქართლში ბევრის ღვინის მოსავლის გამო ჭურჭელს ვერა შოულობენ და ვაჭრებს ნახევარ ფასად აძლევენ ღვინოსა. იმისათვისა მეთქი, სირაჯები ეხლა ქართლში იქმნებიან. ყველია აქ ფრიად ძვირი: 25-30 კაპ. გირვანქა. ამის მიზეზს იმას ამბობენ, რომ ვაჭრები თვითონ მიდიან თუშებში და ოუმნათ ყიდულობენ ფუთსა, რადგანაც, როგორც ამბობენ, ყალბის ფულით ვაჭრობენო.... ამ კვირაში ერთს სოფ. კურდღელაურელს კაცს ესესხნა თუშისაგან 25 მან., რომელიც ნამდვილი ყალბი ფული გამოდგა. ნახევარს სივრცეზე 25 მანეთიანს რიცხვი „25"-დ. უკუღმა ეწერა თვით ქაღალდიც უფრო მსხვილი იყო. კარგი იქმნება ვისიც ჯერ არს ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და გამოიძიოს.

ქართველი.

სოფ. ყვარელი. 1878 წ. 10 გიორგობისთვე.

---

## №-თან მიწერ-მოწერიდამ.

ვიცი, ჩემო საყვარელო №, როგორც დახედავ ამ წერილს, მაშინვე იტყვი: თავისებურად მოჰყვება, გიმნაზიაზე დაუსრულებელ ლაპარაკსაო, და მართალსაც იტყვი: ამ ჯერათაც სწორედ კიდევ გიმნაზიაზე უნდა გელაპარაკო, მაგრამ ამ წერილში იმ უიმედობას და იჭვნეულობას ველარ ნახავ, რომლებიც აქამდისინ იყვნენ ჩემს წერილებში საქალებო გიმნაზიის გახსნის თაობაზე ქუთაისში. შენ კარგად გახსოვს, თუ რა მოუთმენელად მოველოდი მე ქუთაისში საქალებო გიმნაზიის გახსნას და საჭირო აღარაა კიდევ ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი? როდესაც მე რაიმე გრძნობა მაღელვებს, არ შემიძლია შენ არ გაგიზიარო, და აი ამისთანა წინა-სიტყვაობის შემდეგ, ხელახლად მოგიყვები ჩვენს გიმნაზიაზედ საუბარს. ხომ იცი რა დიდი ხანი იყო დავარდნილი ხმა ქუთ. საქ. გიმნაზიის გახსნის თაობაზედ; ისიც ხომ იცი, რომ მე აქაურს ოთხ-კლასიან წმინდა ნინოს სასწავლებელში იმ აზრით შეველი, რომ მოველოდი ჩემს იქ ყოფნაში ამ სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებას და იმაში სწავლის შესრულებას, მაგრამ სიტყვები: „ქუთაისში საქალებო გიმნაზია გაიხსნებაო"—მარტო სიტყვებათ რჩებოდნენ, დრო გადიოდა და გიმნაზია კი არსად ჩანდა. ყველა მაგ დაუსრულებელ ლოდინის შემდეგ, გასაკვირიც არ არის, რომ იმედი სრულიად დავკარგეთ აქ გიმნაზიის გახსნაზე მაგრამ აი მოახწია კურთხეულმა 1878 წელმა, ამასთან ამ წლის სეკტემბრის თვემ, ამ თვის რვა რიცხვმა, და ყველა ჩვენი იჭვნეულება, უიმედობა და დარდები გიმნაზიაზე უცებ გაიფანტნენ. ეს დღე შეადგენს ამ ჩემ წერილის მასალას, ამ დღეზედ მინდა ამ ჯერათ შენთან მოლაპარაკება.

ეს დღე უნდა ჩაითვალოს შესანიშნავ ეპოქად მრავალ აქაურ ახალ-გაზდა ქალების ცხოვრებაში; ამ დღეს გამოგვიცხადეს ჩვენ საქალებო გიმნაზიის გახსნა—და ამ დღეს თვით საქმით ეგვისრულდა ჩვენი დიდი ხნის ლოდინი, ჩვენი ნატვრა. აქ უნდა გითხრა, რომ ჩვენ ბევრით დავალებულნი ვართ პატივცემულ კნ. პელაგია წერეთლისაზე და თუ იმას არ ეცადნა და არ ეშრომნა გიმნაზიის გახსნის დაჩქარებაზე, ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს უნდა გვეცადნა.

ბევრი ახალ-გაზდა ქალის გული აღტაცებით და სიხარულით ატოკდა, როდესაც რვა სეკტემბერს შუადღისას

ერთი, მომავალ გიმნაზიის მასწავლებელთაგანი, შედგა მაღლა ადგილზე და აღმტაცის ხმით წარმოსთქვა: „ქუთაისის ოთხ-კლასიანი წმ ნინოს სასწავლებელი შვიდ-კლასიან გიმნაზიათ გადაკეთდაო.“ ეს სიტყვები ჩვენთვის სწორეთ ისეთნი იყვნენ, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის არიან აღდგომის ცისკარზე ღვდლისგან წარმოთქმული სიტყვები: ქრისტე აღსდგა მკვდრეთითო.

როგორც ყოველის ქრისტიანის გულში ამ სიტყვებს დაერთვის ის იმედი, რომ ქრისტემ თავის მკვდრეთით აღდგომით დაგვიხსნა ჩვენ სიკვდილისგან აგრეთვე ჩვენთვისაც ამ სიტყვებს—გიმნაზია გაიხსნაო—მოსდევდა ის იმედი, რომ ვინც ჩვენგანი აქ სწავლას შესრულებას ეღირსება, იმისთვის გამქრალი იქნება ის წყვდიადი უმეცრებისა, რომელიც ესე სქლათ გვახვევია ჩვენებურ საბრალო ქალებს; ის იმედი რომ რიგიანი სწავლის შეძენის შემდეგ, ჩვენ აღარ ვიქნებით ხელ-ფეხ შეკრულნი, აღარ ვიქნებით ჩამოკიდებულნი ჩვენ მშობლებას კისერზე, რომლების ყოფა-ცხოვრება—ხშირად სიმართლე და პატიოსნებაც—ილევა ჩვენთვის მოდურ კაბების საყიდელ ფულების შეძენაში, აგები როგორმე კარგ მორთვით გვეღირსოს „გასაღებაო,“ „ბედის პოვნაო,“ ანუ უკეთ ვსთქვათ—„მარჩენალი ქმრების პოვნაო.“

შვიდ კლასიანი გიმნაზია! ოჰ, რა ბევრი სწავლის შეძენა შეიძლება ეხლანდელის პროგრამმით! ვფიქრობდით სწავლის მოლოდინე მოსწავლენი. გიმნაზიის შესრულების შემდეგ არამც თუ სხვის ტვირთად დარჩენა, არამედ ჩვენ თვითონაც შეგვეძლება სხვის შემწეობა! რამდენი პატარა ქალია, რომელთაც კიდევ ჩვენზე უფრო სწყურიათ სწავლა და გონების განათლება, მაგრამ არა აქვსთ გზა, არა აქვსთ საშვალება, არა ჰყავთ მასწავლებელი. ჩვენ კი, გიმნაზიის შესრულების შემდეგ, შეგვეძლება იმათი სწავლება, შეწევნა, გზის გაკვალვა, მხარში შედგომა და მათთვის ნაბიჯის გამაგრება. ერთის სიტყვით, ჩვენ ვიქნებით გონება გახსნილნი, სწავლა შეძენილნი, სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა, სხვა და სხვა ამ გვარი მშვენიერის ფერადით შეხამებული ფიქრები ტრიალებდნენ ჩვენს აღტაცებულს და აღელვებულს გონებაში. არა! მე არ შემიძლია, დაახლოებით მაინც გარდმოგცე ის ტკბილი გრძნობები, რომელნიც ამ დროს იხვევოდნენ ჩემს ტვინში, გულში, გონებაში, და რომლითაც ავსებული ვიყავი იმ დროს. რამდენი გრძნობაა კაცის გულში ისეთი, რომ მართლადაც ვერაოდეს ვერ გამოთქვამს მისი მგრძნობელი და აი, ესეთი იყვნენ მაშინდელი ჩემი გრძნობებიც.

მთელი ეს დღე, 8 სეკტემბერს, ამ გვარ აღელვებაში გავატარეთ მომავალ მეხუთე კლასის მოსწავლეებმა.

დადგა მეცამეტე რიცხვი სეკტემბრისა და დაიწყო სწავლა, მოსწავლეებმა, რასაკვირველია, დიდის ხალისით შევიკრიბენით, და როცა კლასში შევედით, პირველად გაკვეთილების სიას მივარდით, მაგრამ სწორეთ უნდა გითხრა, რომ არ მენახა ის მერჩივნა: სხვა და სხვა ახალ საგნების მაგიერ, ბევრი გაკვეთილების მაგიერ, რომელთაც მე მოველოდი მეხუთე კლასში, აი რა ამოვიკითხეთ იქ—ორშაბათი მე-2 მე-3 და მე-4 გაკვეთილების საათები არაფერი, 1 და 5—სამღვთო წერილი და რუსული ენა. სამშაბათი—1 საათი—არაფერი, დანარჩენები—ხელსაქმე, საზოგადო ისტორია, რუსული ენა და ალგებრა. ოთხშაბათი: 1 და მე-2 საათები—არაფერი, დანარჩენები—ქართული ენა, გეომეტრია და ალგებრა. ხუთშაბათი: პირველი და მეხუთე საათები საზოგადო ისტორია და რუსული, დანარჩენები—არაფერი. პარასკევი: 1 და 2—არაფერი და დანარჩენნი—ხელ-საქმე, სამღვთო წერილი და გეომეტრია, და შაბათიც: 1, 2 და 4 არაფერი და მე-3—5. რუსული და საზოგადო ისტორია.—გკითხულობ და თან არ მჯერა: როგორ? გიმნაზია და ამოდენა ტყუილად ყოფნა ვის გაუგონია? ეს რაღაა, რომ ერთი ახალი საგანი არ გვექნება მეხუთე კლასში?

შენ ამას ჩემზე უფრო გაიკვირვებ და იქნება არ დამიჯერო, მაგრამ, ხომ იცი, მე შენ ტყუილს არ გეტყვი.

წარმოიდგინე—ამოდენა თავისუფალი საათები გვაქვს და ქართული ენისათვის კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი არის დანიშნული. მაგრამ სხვაგან სად მიდის ამ ენის სწავლება კარგად, რომ აქ ბევრი მოვსთხოვოთ; ეხლა უთუოდ გრამმატიკას მაინც დავიწყებთ. მართლა სირცხვილი კია სწორეთ, რომ კაცმა თავის დედა-ენის გრამმატიკა არ იცოდეს! მაგას ვფიქრობდი, როცა სწავლის დაწყების ზარის წკარუნი მოისმა. ეს დღე იყო პირველი დღე ჩვენის გიმნაზიის პირველ გაკვეთილებისა და რასაკვირველია, რაც გაკვეთილები გვქონდა, დიდის ხალისით

მოვკიდეთ იმის სწავლას, მაგრამ რა? რამდენი მეტი თავისუფალი საათები გვაქვს, იმდენათ სწავლის ხალისი გვეკარგება. წარმოიდგინე ჩვენი მდგომარეობა: 3 საათი უნდა ვიცდიდეთ ერთი გაკვეთილისათვის.

ასე გადის ერთი, ორი, სამი კვირა, ერთი თვე, ორი თვე; ორი თვე, მაგრამ რა თვე? ამ ორ თვეში უფრო მეტი სწავლის შეძენა შეიძლება, ვიდრე სხვა თვეებში, რადგანაც ამ ორის თვის წინად, ზაფხულის განმავლობაში თვით მოსწავლეებიც და მასწავლებელნიც დასვენებულნი არიან და სწავლა რომ იწყება, მაშინ, როგორც მოსწავლენი, აგრეთვე მასწავლებელნიც ახლად შეკრებილის ძალითა და ღონით უფრო გულიანად და ხალისიანად უდგებიან სწავლას.

წარმოიდგინე, ჩემო №, რა გულზე უნდა ვყოფილიყავით ის მოსწავლეები, რომლებიც ასე დიდი ხანი და ამოდენა იმედებით მოველოდით გიმნაზიის გახსნას.— მართალი უნდა გითხრა, ზემოთ მოთვლილის საგნების მასწავლებლები ძალიან სინიდისიანათ ეკიდებიან თავიანთ საქმეს და რიგიანადაც ასრულებენ, მაგრამ ამოდენა თავისუფალი საათები რომ გვაქვს, იმათ რა ეშველებათ? ნუ თუ არ არიან ქუთაისში ისეთნი პირნი, რომელთაც შეეძლოსთ სარგებლობის მოტანა ამ ნორჩ გიმნაზიისათვის, რომ ქალებს პირველათვე არ აუცრუონ სწავლაზე გული?

ასეთს უთავბოლობაში უპირველესი მოსწავლეთაგანი ჰკარგავს ხალისს სწავლისადმი და უნებურად სასოება ეკარგება როცა ხედავს თუ რა გულ-გრილად ეპყრობიან საზოგადოების განათლებული წევრები ამისთანა მძიმე საქმეს, როგორიც არის ახალგაზდობის აღზრდა.

ეხლა ერთი ორი სიტყვა უნდა გითხრა აქაურ ქართულის ენის გაკვეთილებზე, მაგრამ გაგიტყდები კი, რომ ამ საგანზე ლაპარაკი ერთობ მეზარება და მეძნელება; მაგრამ შენი ამბავიც ვიცი, გეწყინება თუ ქართულს ენაზე ცალკე არ მოგელაპარაკე. არ ვიცი რა გვეშველებოდა უფ. გოგებაშვილს „ბუნების კარი“ რომ არ შეედგინა და ამ წიგნში ბევრი განყოფილება არ ყოფილიყო, რომელთა გაჭიანურება თუ კი გსურს ათის წლის სწავლითაც კი შეიძლება! შენი მტერი, ჩვენ უქართულო წიგნით დარჩებოდით! ნუ თუ არ შეიძლება „ბუნების კარი“ ექვს წელიწადში გაათავონ მოსწავლეებმა (მახსოვს შენ მეუბნებოდი სახალხო შკოლებში კარგად უნდა შეიგნონ „ბუნების კარიო“ და იქ ხომ ოთხი წელიწადია კურსი და აქ ზავედენიაში ექვსია და მაინც ვერ დაგვისრულებია „ბუნების კარი“) და შემდეგ სხვა რაიმე დაიწყონ? ნუ თუ ქართული ღრამმატიკა არ არის და ან თუ არის, ისეთი ძნელია, რომ **16—17** წლის ქალებს არ შეუძლიანთ ისწავლონ? თუმცა ქართული დაბეჭდილი გრამმატიკა კი მინახავს,—აქ ზავედენიაში კი არა (აბა აქ საიდამ მოფრინდებოდა)—სახლში, შენთან, აი ის ორი ძველი წიგნი რომ ძევს შენ წიგნებში და რომლებზედაც შენ მითხარი ქართული გრამმატიკა არისო; შენგან რომ ტყუილებს დაჩვეული ვიყო, ღმერთმანი ეხლა კი ვიფიქრებდი მომატყუილა მეთქი, ისე გასაოცრად მეჩვენება ქართული გრამმატიკის არსებობა. არ ვიცი რა ენის ღრამმატიკა უნდა იყვეს ის, რომელსაც ჩვენ ესე ვსწავლობთ: წინადადება—პრედლოჟენია, პრიჩასტიე, დეეპრიჩასტიე, კაი ჩემი ბრალი, რომ თარგმნის ნიჭი ჩემთვის ღმერთს არ მოუცია და ვერ ვახერხებ რუსული ღრამმატიკის ქართულად თარგმნას! პირველი კლასიდამ მეხუთე კლასამდი სუ სახელი არსებითი და ზმნა ვისწავლეთ და ამათ გარდა თუ ქართულს ენას სიტყვის ნაწილები ჰქონდა არც კი ვიცოდი. ვარჩევთ წინადადებას და პრიდატოჩნოე ქართულად ვერ მოგვიხერხებია და ვამბობთ რუსულად.

ყველა ამაებს რომ ვუყურებ უნებურათ მომდის თავში რუსის პოეტის სიტყვები: „სასაცილო იქნებოდა, რო ასე სამწუხარო არ ყოფილიყო.

აბა თუ გამოჩნდეს ისეთი მადლიანი სული რომ დაგვიხსნას მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც რუსულის ღრამმატიკის თარგმნისაგან, ამ პრიდატოჩნოე და ვოდნი პრედლოჟენიებიდგან და შეგვიდგინოს ქართული ღრამმატიკა.

ერთხელ დაჯილდოვებულმა ჯანაშვილმა აკი გვითხრა მინდა ქართული ღრამმატიკა შევადგინოო. რა კარგი იქნება რომ რაც კარგი ითქმის, სუყველა ასრულდებოდეს; აი ეხლა ქართული ღრამმატიკა გვექმნებოდა, ჯანაშვილს რომ თავისი სიტყვა აესრულებინა.

გასაკვირია მაინც თუ რა გვარად უყურებენ ქართულს ენას თვით ქართველი პედაგოგებიც: მახსოვს აქაურის ზავედენიის მეოთხე კლასის მოსწავლეების გამოცდაზე დაესწრო ერთი ქართველი პედაგოგი პ. და მთელი გამოცდა ისე გატარდა, რომ ერთ წამსაც ყური არ უგდია ამ პატრიოტს ყმაწვილებისათვის; ამ დროს ის სხვასთა ბაასში ატარებდა დროს, მაგრამ მოსწავლეებს ყველას

ხუთ-ხუთი დავგისვა და მერმე თვითონვე დაიწყო კვეხნა: კი არა იცოდნენ რაო, კითხვაც არ იცოდნენო, მაგრამ ხუთ-ხუთები მაინც (?!) წარვადგინეო. პედაგოგის ცოდნა და სინიდისიანათ ქცევა მეტი შეიძლება? ამისთანა ქართველი პედაგოგების ხელში რა უნდა ითქვას ქართულ ენაზე?

იქმნება ყველა ამის შემდეგაც ჰსთქვან, რომ ქალები უნიჭონი არიანო, ამათი სწავლა გამოუსადეგი არისო? მაგრამ იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ ეს ცრუ აზრი ქალებზე მალე გაქარწყლდება ჩვენს უგანათლებულეს წრეში და ქალების აღზრდასაც მიეცემა ჯეროვანი ყურადღება. გაგვიხშირდება სასწავლებლები კარგისა და სრულის მასწავლებლებით და არა იმათთანაებით როგორიც ჩვენს გიმნაზიებში არიან.

ეხლა კი მშვიდობით, ჩემო ძვირფასო დაო! კმარა ამოდენა ბაასიც.

შენი და X.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ბიკონსფილდმა თავის სიტყვაში, რომელიც შემოკლებით მოვიყვანეთ წარსულ ნომერში, სთქვა სხვათა შორის, რომ ინდოეთის საზღვარი დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ უნდა გასწორდესო. ამ გასწორებას ინგლისის ჯარი შესდგომია კიდეც, საზღვარი გადუვლია და ზოგიერთი ადგილები დაუპყრია კიდეც. ამით დაწყებულია ომი ავგანისტანისა და ინგლისის შორის, და ხალხთა შორის ურთიერთობა უფრო დახლართული: ერთის მხრით სისხლის ღვრა შუა აზიაში, მეორეს მხრით საქმეთა არეულობა ევროპაში; ერთის მხრით თავსა ჰყოფს ავგანისტანის საქმე, მეორეს მხრით აღმოსავლეთის საქმე არამც თუ ჯერ არ არის დაბოლოვებული და ჩამქრალი, არამედ თან-და-თან უფრო ძლიერდება და ვრცელდება. რა არის და რას გვიქადის აწინდელი ინგლისისა და ავგანისტანის შორის შეტაკება? საქმე ამ ჟამად ისე დახლართულია, რომ ვერას გაიგებს კაცი, თუ მართლა რუსეთმა ხელი მოუმართა ავგანისტანს, მაშინ რაღა თქმა უნდა, რომ ინგლისისა და რუსეთის შორის ასტყდება ომი. მაგრამ საეჭვო კი არის: ჩვენ კავკასიაში არავითარი მზადება ომისათვის არ ეტყობა: საეჭვო არის მეთქი ჯერ-ჯერობით, და რას მოასწავებს მომავალი, ღმერთმა უწყის. შესაძლებელია, გარდა ამისა, საქმე ისე იყოს მომართული, რომ ინგლისმა რომელიმე ნაწილი დაიპყრას ავგანისტანისა, და მეორეს მხრით რუსეთმაც ომი აიცილოს, ე. ი. იმანაც ირგუნოს რამე. ასე მოხდება თუ ისე, საქმე დამოკიდებულია ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ, სადაც ბერლინის კონგრესის განაჩენს არავითარი მტკიცე ნაბიჯი არ გადუდგავს საქმეთა დალაგებისა და დამკვიდრებისათვის. მართალია, ყოველი მხრიდამ ისმის—კონგრესის გარდაწყვეტილება წრფელის გულით გვსურსო, მაგრამ თვით საქმით კი ბევრი არა გარიგებულა რა აჯანყება ბოლგარიაში უფრო და უფრო ვრცელდება; მონაწილეობას იღებენ როგორც ბოლგარიელნი, ისე ბერძნებიც.

— ჰერცოგოვინელებს გაუგზავნიათ ავსტრიის იმპერატორისათვის ადრესი, რომელშიაც მადლობას უცხადებენ მფარველობისათვის და ამბობენ სხვათა შორის შემდეგს:

„მძლავრ გარემოებისა გამო ცივილიზაციით და წარმატებით უკან ჩამოვრჩით ჩვენ მეზობელ ხალხთ და ეხლა ჩვენ გულით გვსურს თქვენის მფლობელობის ქვეშ დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგანან ყველა თქვენი ქვეშევრდომნი ხალხნი,—გზას ცივილიზაციის და კაცობრივის ღირსების განვითარებისას, და ამასთანავე არავითარი ვნება არ მიეცეს ჩვენს სარწმუნოებას; გვსურს აგრეთვე ვისარგებლოთ თქვენ ქვეშევრდომთა კეთილმდგომარეობით და ამასთანავე დავიცვათ ჩვენი აწინდელი უფლებანი." ბოლოს მოხსენებულია შემდეგი თხოვნა: „ჰერცოგოვინის ხალხი, რომელიც ამოდენა ხანი იტანჯებოდა უშველებელი ხარჯისაგან, სთხოვს თქვენს დიდებულებას უბოძოთ მას მის საჭიროებისათვის შესაფერი მმართველობა და დაწესებულება."

— ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ იმ განზრახვაზედ, რომლითაც ვითომ გაგზავნილია ვენას გრაფ შუვალოვი, რუსეთის ელჩი ინგლისის წინაშე. გაზეთს „Times" ამის თაობაზედ შემდეგი ამბები მისვლია ვენიდამ: 1) რუსეთს აქვს განზრახვა მტკიცედ დაადგეს ბერლინის განაჩენის აღსრულებას, იმ აზრით, რომ სხვა სახელმწიფონიც ამასვე იქმონენო. 2) ვენისა და ლონდონის მთავრობებს ცნობილი აქვთ ეს გარდაწყვეტილება. 3) კონფერენციაზედ ან სხვა რამე დიპლომატი-

ბის ურილობა არც კი ხსენებულა. 4) რუსის ჯარის დროზედ გამოყვანისათვის რუმელიიდამ, რუსეთი სხვას არაფერს თხოულობდა, გარდა იმის, რომ ბერლინის ტრაკტატში მოხსენებულნი პირობები ჩერნოგორიისა და საბერძნეთის შესახებ აღსრულებულნი უნდა იყვნენ.

ამავე საგანზე ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან: „გრაფ-შუვალოვმა სთქვა, რომ თუ ვინიცობაა ოსმალეთმა არ აასრულა რომელიმე ნაწილი ბერლინის განაჩენისა, მაშინ რუსის ჯარი დარჩება ბოლგარიაში და რუმელიაში უფრო დიდხანს ვიდრე მოხსენებულია ამა ტრაკტატში. გარდა ამისა, შუვალოვმა სთქვა, რომ ავსტრო-ვენგრიას ნება აღარა აქვსო რუსეთს რაიმე დაბრკოლება გაუწიოსო ამ შემთხვევაში.

---

## რ უ ს ე თ ი

### გულაკ-არტემოვსკის საქმე.

ამას წინად პეტერბურღის ოლქის სასამართლომ განიხილა ერთი საქმე, რომელიც თუმცა თვით დანაშაულობის მხრით არავითარ შესანიშნავი არ არის, რადგანაც ამ გვარი საქმე თითქმის ყოველ დღე ხდება, მაგრამ რომელიც თვალ საჩინოა მით, რომ ბრალდებული ეკუთვნის მაღალს და განათლებულს საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, სადაც ბრალდებულთა სკამს იშვიათად უჭერია ადგილი. კიდეც იმიტომ იყო სასამართლო ხალხით მოჭედილი, კიდეც ამიტომ შექნა ქოთ-ქოთი როგორც საზოგადოებამ ისე მწერლობამ და თითქმის სრულიად დავიწყებულ იქმნა აღმოსავლეთის საქმეც და ავღანისტანისაც. საკვირველი კია ღვთის წინაშე: ყოველ ცისმარე დღე ხდება მრავალი ბოროტ-მოქმედობა, ყოველ დღე მრავალი ხალხი იკარგება ციმბირში, სადაც თითქმის ყოველ კუთხიდამ მოისმის ბორკილების ჟღარუნი, მაგრამ აბა თუ დაეტყოს რამე შეგუბებულ ცხოვრებას, აბა თუ ცოტა ოდენად მაინც შეიძრას ჩვეულებრივ საქმეთა მიმდინარეობა. შენ არ მომიკვდე. არსებობს რაღაც მდინარე, რომელსაც მიაქვს დღე და დღე მრავალი მსხვერპლი—ვის რა ენაღვლება? თვალი ისე მიჩვეულია ამა დენას, რომ ძიდეც გაუკვირდებოდა, რომ არ არსებობდეს; თითქო არსებითი თვისებაც ცხოვრებისა ეს არისო. მაგრამ, გაჩნდება თუ არა იგივე ბოროტ-მოქმედობა, რომელიც მუდამ დღე ჩუმ-ჩუმად იტაცებს ამოდენა მსხვერპლს,—გაჩნდება თუ არა მეთქი ესრედ წოდებულს მაღალს და განათლებულს საზოგადოებაში და წამოაყენებს მის რომელსამე წევრს ბრალდებულთა სკამზედ, მაშინვე მთელი საზოგადოება მიიბძვის სასამართლოსკენ, რომელიც თითქმის დავიწყებული ჰქონდა—არის სადმე თუ არა. ეს კი, მართალია, ვერაფერი ნიშანია განათლებისა და მაღალის განვითარებისა: მინამ მე თვითონ არა ვარ საქმეში ჩართული, სხვისა რა მენაღვლებაო, ამბობს თითქო ამით საზოგადოება. ყველა ეს ცხადათ გვიჩვენებს რა ღრმა განხეთქილება სუფევს ხალხის ორ ნაწილთა შორის.... უკანასკნელ დროს თან და თან უფრო და უფრო ხშირად მიეცემიან ხოლმე სამართალს მაღალის საზოგადოების სხვა და სხვა გვამნი, სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისა და ავკაცობის გამო. თუ სხვა არაფრით არ შეიძვრის მოდუნებული ცხოვრება და არ დააფიქრდება იმ სიბილწეს, რომელიც მოსდებია ამ ცხოვრებას თავიდამ ბოლომდე, ამითი მაინც მიქცეულ იქმნეს ყურადღება....

საქმე რომლის თაობაზედაც მოგახსენებთ ამას, მდგომარეობს შემდეგში: შარშან დეკემბერში გარდაიცვალა პეტერბურღში ერთი ძალიან მდიდარი კაცი, მილიონის პატრონი ნ. პასტუხოვი. მისმა მემკვდრეებმა, პასტუხოვის ორთავე ძმებმა დიდის ამბით დამარხეს მიცვალებული, რომელსაც მრავალი ხალხი გაჰყვა სასაფლაოზედ. ამ გამცილებელთა შორის იყო ერთი, თუმცა ხანში შესული, მაგრამ ლამაზისა და მიმზიდავის პირის სახით, შავებში ჩაცმული ქალი, რომელიც მიიქცევდა საზოგადოების ყურადღებას. ორთავ ძმებს პასტუხოვებს ადრევაც უნახავთ ეს ქალი; იცოდნენ, რომ მათმა ძმამ, ნ. პასტუხოვმა გაიცნო ეს ქალი თვის მეგობრის, უფ. პოლევოის მეოხებით და გაეგოთ აგრეთვე, რომ ამ ქალს დიდად მავნებელი გავლენა ჰქონია ძმის სიცოცხლეზედ.

პასტუხოვის დასაფლავების შემდეგ ერთი თვეც არ გასულა, როდესაც ამ ქალს (ქვრივი გულაკ-არტემოვსკისა) წარუდგენია პასტუხოვის ძმებისათვის სამი ფულის-თამასუქი (სულ 58 ათასის თუმნისა), დაწერილი ნ. პასტუხოვის მიერ გულაკ-არტემოვსკის სახელობაზედ. პასტუ-

ხოვებმა შეატყვეს ამ თამასუქებს სიყალბე და აცნობეს გამომძიებელს. ამ გვარად შესდგა საქმე და ბრალდებულთა სკამზედ წამოდგნენ ორნი: ქვრივი გულაკ-არტემოვსკისა და ვიღაცა ბოლდანოვი.

გულაკ-არტემოვსკის ცოლი შთამომავლობით ეკუთვნის მაღალ საზოგადოებას; უსწავლია ხმოლნის მონასტერში და მიუღია განათლება, რომელსაც მაღალს საზოგადოებაში უწოდებენ ბრწყინვალე განათლებას. ლამაზი სანახაობა, მიმზიდველი მიხრა-მოხრა, ცოცხალი ლაპარაკი და აგრეთვე მშვენივრად ცოდნა ფორტოპიანისა, ყველა ეს თვისებანი ყურადღებას უპყრობდნენ საზოგადოებაში, და მრავალი მოარშიყეც ჰყვანდა ამის გამო. ერთი რამ აკლდა მხოლოდ — შეძლება არა ჰქონდა; მაგრამ ესეც მალე იშოვა. სიყმაწვილიდგანვე შეჰყვა სიმდიდრის მოყვარეობა. როგორღაც მოახერხა ციმბირში წასვლა, სადაც სხვა და სხვა საქმეში ერეოდა, ყიდულობდა და ჰყიდდა ოქროს მადნებსა, და ამ გვარად შოულობდა მრავალ ფულს... ბოლოს დაქვრივდა და დაბინავდა პეტერბურღში.

ქვრივი გულაკ-არტემოვსკისა ძალიან ახლილად ცხოვრობდა თურმე პეტერბურღში, მისი სახლი შემკული ყოფილა ყოველის გვარის სიმდიდრით და მორთულობით, ასე რომ არავითარი შეუძლებლობა და ნაკლებობა არ ეტყობოდა. მასთან დადიოდა მრავალი ხალხი, უფრო მომეტებულად კაცები, რომელთა შორის იყვნენ მაღალი წოდებისანიც, მაგალითებრ ბარონ ტორნაუ, თავადი სუვოროვი, ტაინი სოვეტნიკი მიტკოვი, ღენერალ-ლეიტენანტი ანნენკოვი და სხვ. ამათ გარდა მის ხალხში ახლო სტუმარნი იყვნენ აგრეთვე ვიღაცა ბნელი და უცნობი ვექილები, ვიღაცა ხაიმოვიჩები, ოქროს მადნის მქონენი ციმბირში და სხვა არავითარი მემკვიდრეობითი სარჩო არ ჰქონია გულაკ-არტემოვსკის, მაგრამ ძალიან ბევრს კი ხარჯავდა. მის სახლში თითქმის შეუწყვეტელი ქაღალდის თამაშობა იყო გამართული. თვით გულაკ-არტემოვსკის სიტყვით, იგი ხარჯს შოულობდა სხვა და სხვა „საიდუმლო ვექილობით“, ესე იგი მას ჰყვანდა მრავალი ძლიერი და გავლენიანი ნაცნობები, რომელთა შემწეობით მსურველთ საქმეს უმართავდა მმართებლობის წინაშე და ამისათვის ფულს იღებდა თურმე: მაგალითებრ ერთის რაღაც წესდების დასამტკიცებლად ოთხი ათასი თუმანი აუღია.

სასამართლოში გამოწვეულნი იყვნენ მოწმად თითქმის ყველა მისი „მაღალი“ სტუმრები და ნაცნობები, რომელთაც დიდი პატივის ცემა აღიარეს ბრალდებულისადმი და გამოსთქვეს აზრი, რომ გულაკ-არტემოვსკის არ შეეძლო ყალბი თამასუქის შედგენაო... რაც შეეხება გულაკ-არტემოვსკისა და ნ. პასტუხოვის შორის ურთიერთობას, გამოჩნდა რომ პასტუხოვს ძალიან მოსწონდა ქვრივი გულაკ-არტემოვსკისა და შერთვასაც აპირებდა. თუმცა ძალიან უყვარდა ეს ქალი, მაგრამ მაინც ზოგიერთი გარემოება ჩააფიქრებდა ხოლმე. ერთხელ, მაგ., გულაკ-არტემოვსკის ცოლი სტუმრად ყოფილა პასტუხოვისას და მონდომებია პასტუხოვის კასსის ნახვა, რომელშიაც დაუნახავს სხვათა შორის ორმოცდა ათის თუმნის ოქრო; ვითომ ხუმრობით გამოურთმევია და აღარ მიუცია, გარდა ამისა ნაცნობებს და ნათესავებს შეუმჩნევიათ, რომ პასტუხოვი უფრო და უფრო ფიქრში შედიოდა რაღაც აწუხებდა, და ფულის ანგარიშზედაც ზრუნავდა. ეს უკანასკნელი გარემოება მით უფრო საკვირველი იყო, რომ პასტუხოვი თუმცა ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ ბევრს არა ხარჯავდა... ბოლოს გაუტყდა თავის ძმას, რომ გულაკ-არტემოვსკის ნაცნობობა ძალიან მაწუხებსო და უთხრა — ამ ბოლოს დროს ჩვიდმეტი ათასი თუმანი მომიგო „დურაჩკაშიო“. დაჩაგრული და დარდიანი გუნება არამც თუ არ მოჰკლებია პასტუხოვს, არამედ რაღაც მძიმე ავადმყოფობად გადაჰქცევია და გარდაცვლილა კიდეც... თვით გულაკ-არტემოვსკის ცოლმა ამ გვარად აუხსნა სასამართლოს თამასუქების არსებობა: ნ. პასტუხოვი მსმელი კაცი იყოო და ხშირად ფული უჭირდა ხოლმეო. აი ერთს ამისთანა ჟამს მეც მესესხა ფულიო; თამასუქი ბაღდანოვს დააწერინაო და ხელი კი თვითონ შინ მოაწერაო. შესახებ ექსპერტებისა, რომელთაც დაამტკიცეს, რომ თამასუქები პასტუხოვის ხელით არ არიან მოწერილნიო, გულაკ-არტემოვსკის ცოლმა სთქვა, რომ პასტუხოვმა იქმნება ძალად გადმომცა ეს ყალბი თამასუქებიო. თავმჯდომარემ უთხრა ბრალდებულს: ყველა მოწმებმა აღიარესო პასტუხოვის პატიოსნებაო და ექიმებმაც შეამოწმესო, რომ იმ დროს პასტუხოვი ავად არ იყოო, მაშ რისთვის გადმოგცემდათო ძალად ყალბ თამასუქებსო? ამაზედ გულაკ-არტემოვსკის ცოლმა უპასუხა: პასტუხოვის შესახებ მეც ამ აზრისა ვარო და არას დროს მას არ დავწამებდიო ყალბი თამასუქების მოცემას, გამომძიე-

ბედს რომ ამ გვარად არ დაედგა საქმე, რომ ან მე უნდა ვიყო დამნაშავე, ან პასტუხოვი. პასტუხოვის მოქმედება ვერ გამიგიათ; ვსთქვა, რომ ჯავრის ამოყრა უნდოდა, რადგანაც მისი შერთვა არ ვინდომე—არ შემიძლიანო....... ფული იქმნება ჩემი სიკეთისათვისვე გამომართვაო, რადგანაც ყოველთვის მირჩევდა ფულს კერძო ხელში ნუ გასცემო და ბირჟაზედ ნუ ათამაშებო.

ორივე ბრალდებულნი ნაფიც მსაჯულთა მიერ გამტყუნებულ იქმნენ, და უნდა გაიგზავნონ ციმბირში.

თვით საქმე, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ღირსშესანიშნავია მხოლოდ მით, რომ მასში ჩართულნი არიან მაღალისა და „განათლებულის" გვამნი, იმ საზოგადოებისა, რომელიც თვითონ უნდა იყოს მაგალითი ყოველ გვარის კეთილის ზნეობისა და მტკიცე საქციელისა, ის კი არა თუ. ... მაგრამ შემდეგ ნომერში მოვიყვანთ პროკურორის სიტყვას, რომელშიაც მშვენივრად არის გადაშლილი ამ საზოგადოების ზოგიერთა ნაწილის ავ-კარგიანობა.

---

## სამი ათასი ფრანკით.

(მოთხრობა ალფონს დოდესი)

ვისაც უცხოვრია პარიჟში ეცოდინება ერთი უცნაური გარემოება: გამოდიხარ ხშირად შინიდამ მხიარული და კარგ გუნებაზედ, და ორ საათ სიარულის შემდეგ ბრუნდები უმიზეზოდ ნაღვლიანი, სევდა მოწოლილი, თვითონაც არ იცი რა მოგივიდა. ეს რა დამმართვიაო? ჰკითხავ შენს თავს; ეძებ მიზეზს, მაგრამ ვერ ჰპოვებ კი. თითქო არაფერი უსიამოვნება არ შეგხვედრია; თითქო ტროტუარიც მშრალი იყო, მზეც სითბოსა ჰფენდა, მაგრამ მაინც გულზედ რაღაც გაწვება, ვითომ გწყენოდეს რამე.

საქმე ის არის, რომ ამ უშველებელ პარიჟში, სადაც ხალხი თავისუფლად გრძნობს თავის-თავს, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს კაცი ისე, რომ არ ეძგეროს ვისიმე მწუხარებას, უბედურებას, რომელიც უსათუოდ ცოტა-ოდენ ნიშანს მაინც დაასჩნევს მასზედ. ამას მოგახსენებთ არა მარტო იმათზედ, რომელნიც ახლოს გვიდგანან ნათესაობით თუ მეგობრობით და რომელთა მწუხარება შეადგენს ცოტაოდენად ჩვენს საკუთარს მწუხარებასაც. მე ვამბობ ჩვენთვის სრულიად უცხო პირებზედ, რომელთაც ვხედავთ შემთხვევით, ერთს წუთს, ქუჩა-ქუჩა, ხალხის გროვაში და აყალ-მაყალში.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი ეკიპაჟების ბრაგი-ბრუგში; ღრმა ფიქრი, რომელსაც არც არა ესმის და არც არას ჰხედავს, ხმა-მაღლა ლაპარაკი თავის-თავთან; გიჟური მიხრა-მოხრა და ხელების ქნევა, აღელვებული თვალები, ფერ-მკრთალი პირის სახე, ნაღველი, შავი ტანისამოსი... მერე სხვა და სხვა წვრილმანი გარემოება... სურვილი გახეხილ საყელოს დაფარვისა; ხავერდის ზონარი კეკლუცად შეკრული კუზიან ქალის ყელზედ... ყველა ეს ნიშანი სხვის უბედურებისა სწრაფად გაგირბენთ თვალწინ და მალე გავიწყდებათ სიარულში; მაგრამ გათავდება დღე და თქვენ გულში დაიძვრის ყველა ის, რაც გეწყინათ და შეგაწუხათ, რადგანაც რომლისამე ქუჩის კუთხეზედ, სადმე კარებში აგყვათ, თქვენდა უნებურად, ის უხილავი მავთი, რომლითაც გადაბმულნი არიან ერთი-ერთმანეთზედ კაცობრიობის ყოველ-გვარი მწუხარებანი.

ყველა ეს მომივიდა ფიქრში ამას წინად, როდესაც გამოვედი შინიდან დილა ადრიანად—პარიჟი ყოველთვის ტანჯვას უფრო დილით იჩენს—და დავინახე ჩემ წინ მიმავალი საწყალი კაცი, გახვეული ვიწრო პალტოში. ეს კაცი წაკუზული მიდიოდა დიდის სიჩქარით. ხან-და-ხან ხელს ჩაჰყოფდა ხოლმე უკანა ჯიბეში, მოსტეხდა შიგ ლუკმა პურს, ჩაიდებდა პირში და ჩუმ-ჩუმად ღეჭდა, თითქო რცხვენოდა ქუჩაში ჭამა.

ბევრჯელ მინახავს კალატოზები, რომელნიც დილ-დილაზედ სხედან ტროტუარზედ და შეექცევიან ახლად გამომცხვარს პურს. მათი ყურება მადას მისცემს ხოლმე. მინახავს აგრეთვე წვრილ-წვრილა მოხელენი, რომელნიც პირ-გატენილნი მირბიან ხოლმე ფურნიდამ სამსახურში და ძალიან კმაყოფილნი არიან ამ გვარის შეექცევით წმინდა ჰაერში. მაგრამ აქ თვალ-წინ მედგა ნამდვილი შიმშილი, რომელსაც თავის-თავისა რცხვენიან; შებრალებოდა ეს კაცი, რომელიც სხვაფრივ ვერ ჰბედავდა თავს პურის ჭამას თუ არ ნამცეცობით. ერთ წუთს ვადევნე თვალი; უცბად შემობრუნდა. ალბათ ახალმა მოსაზრებამ და გაზრახვამ გაირბინა მის გუნებაში, როგორც ხშირად მოხ-

დით ხოლმე ამ გვარ კაცებს, და პირის-პირს დამიდგა წინ.

— ოჰ! თქვენა ხართ? მითხრა მან.—ცოტად ვიცნობდი. ეს იყო იმ გვართაგანი ოცნების მოყვარე, რომელნიც მრავალნი არიან პარიჟში,—კაცი, რომელსაც თავში უტრიალებს სხვა და სხვა აზრი და პლანი, შეუძლებელ გაზეთების დამაარსებელი, რომელმაც ერთ დროს ბევრი ალაპარაკა და ააქოთქოთა მწერლობა, მაგრამ ამ სამითვის წინად გაქრა და მასზედ ხსენებაც არსად იყო. მე რომ დამინახა შეკრთა, შეიშალა, აღარ დაუცადა ჩემ გამოკითხვას და დამიწყო სიჩქარით და რაღაცა ძალაუნებურ სიმხიარულით ლაპარაკი, თითქო ცდილობდა, რომ არ შემემჩნია მისი დაკონკილი ტანისამოსი და გროშიანი პური. რაღა თქმა უნდა—მისი საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, მხოლოდ ეხლა დროებით გასჭირებოდა საქმე. ეხლა ძალიან კარგი საქმე ჰქონდა მას გუნებაში: უშველებელი გაზეთი სურათებით, მრავალი ფული, დიდად სასარგებლო პირ შეკრულობა განცხადებებზედ! რამდენადაც ლაპარაკში შედიოდა, იმდენად პირის სახე უცოცხლდებოდა და ტანში იმართებოდა. თან-და-თან მფარველობისა და დარიგების კილოზედ დამიწყო ლაპარაკი, თითქო მართლა თავის რედაქციაში ზისო, და წერილებიც მომთხოვა...

— ამ საქმეს ეჭვი არა აქვს... დაუმატა მან. საქმეს ვიწყებ სამასი ათასის ფრანკით, რომელიც ჟირარდენმა დამპირდა!

— ჟირარდენმა!

ამ გვარ კაცებისაგან ყოველთვის ამ მწერლის სახელი ისმის. ბევრჯელ გამიგონია შემდეგი სიტყვები, როდესაც სხვა-და-სხვა შეუძლებელ საქმეს დააპირებენ ხოლმე: ჟირარდენთან უნდა მოვილაპარაკოთ!

ამ საწყალ კაცსა ჟირარდენთან დაუპირებია მოლაპარაკება. ვინ იცის—მთელი ღამე გაუტარებია ფიქრში, მოსაზრებაში, ანგარიშში ამ საქმის თაობაზედ. შემდეგ გამოსულა გარედ, და საქმე თან-და-თან უფრო მტკიცედ და უფრო ნათლად დახატულა მის თავში; ასე რომ როდესაც შავეყარენით ერთი-ერთმანეთს, დარწმუნებული იყო, რომ ჟირარდენი უარს არ ეტყოდა სამას ათას ფრანკზედ. როდესაც მეუბნებოდა—დამპირდაო, უბედური არ ტყუოდა... იგი მხოლოდ ოცნებით იყო გატაცებული.

ჩვენ ვიდექით ერთს ქუჩაში ბირჟისა და ბანკის შორის. ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი მოძრაობს ამ ადგილას: აქ ტრიალებს საქმეში გართული ხალხი, ბირჟის მოდავეწენი, ყოველ-გვარი ვაჭარი ხალხი, საზიზღარის პირის სახით... უგდებდი ყურს ამ მშვენიერ პროექტებს ამ ხალხთა გროვაში, აქ მოსაქმე ხალხის უბანში, და ჩემ გულში იბადებოდა იმ გვარივე გრძნობა, როგორიც დაიბადებოდა შუა ზღვაში რომ დაეწყოთ ჩემთვის ლაპარაკი გემის დაღუპვაზედ. მე ნამდვილად ვხედავდი ყველას, რასაც კი მეუბნებოდა ეს კაცი, სხვის პირისახეში ვკითხულობდი მის უბედურებას, სხვის აღელვებულ თვალებში ვხედავდი მის საამურ იმედს.

ხუთი წუთის შემდეგ დამავიწყდა ეს კაცი. მაგრამ საღამოზედ, შინ რომ დავბრუნდი თვალ-წინ ხელმეორედ წამომიდგა ეს ფერ-მკრთალი, დაქანცული პირის სახე, პატარა გროშიანი პური და ხელის ქნევა, რომელსაც მოსდევდა გაბერილი სიტყვა: ,,სამასი ათასი ფრანკით, რომელიც ჟირერდენმა დამპირდა..

---

## რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

### XII

საწყალი პავლე იჯდა სენატორის სახლის კარებთან და სიცივისაგან ძაგძაგებდა, რადგანაც რამოდენადაც თენდებოდა, იმოდენად სიცივე ღამის ჰაერისა მატულობდა, თავისი ტყავი კი მიეცა გერძასისათვის და თვითონ ზედ ჩასაცმელი თბილი რამ არა ჰქონდა რა. ხელში საყდრის და გასაღები ეჭირა. საყდრის მნათე შინ ადრე წასულიყო პავლეს კი უნდოდა მრავალი, მრავალი ელოცნა, ვიდრე მიიღებდა წინამძღვრობის ხარისხსა. ამის გამო მნათესათვის ეთ-

*) «ივერია» № 43. 1878 წლისა.

ხოვნა გასაღები საყდრისა მე დამიგდეო და ეკკლესიას მე თვითონ დავკეტავო.

— ეს რა უცნაური ღამეა! ამბობდა თავის-თავად პავლე და თავის დაგლეჯილს ტანისამოსს აქედ-იქიდამ იფარებდა. ეხლა რომ თბილ ოთახშიაც მჯდარვიყავ, და ამ მხრების მაგიერ ყურის დოშაკში გწოლილვიყავ, მაინც კი ჟრუანტელი დამივლიდა ტანში იმ ღამის-მავნეების დანახვაზედ, რომელნიც ამ ადგილებში დაეთრევიან. მე ჩემის თვალით ვნახე ღამის-მავნე ქაჯები. აი ამ სოფლიდამ ჩვენთან მთაში ამოდიან ეშმაკნი, ქალის სახითა, სისხლს გვიმღვრევენ და ცოდვილს სიზმრებს გვაზმანებენ. ნეტა, ხელში რა ეჭირა იმ ქაჯს თეთრ ტანისამოსიანს და გაშლილ თმიანს? იქნება ის ქვა ეჭირა, რომელსაც გულზედ დაგვადებენ ხოლმე, როცა მაჯლაჯუნა დაგვაწვება. მეორე კი, მგონია, მოფრინავდა, თუმცა ფრთები კი ვერ დავუნახე. აი, ამ სახლის გვერდზედ გალილიელი დგას თავისის უნამუსო ცოლითა, რომელმაც აიყოლია ჩვენი საწყალი გერმასი. ნუ თუ მართლა იმისთანა მშვენიერი რამ არის? ესეც კია, რა უნდა ესმოდეს ქალის მშვენიერებისა ბავშს, რომელსაც თავისი დღენი კლდეებში გაუტარებია. ვინც კი პირველად მარილიანად შემოხედავს, იგი ეჩვენება მზეთ უნახავად. მერე ქალი ქერა არისო, მაშასადამე იშვიათი მტრედი იქმნება ამ უდაბნოის შავგრემანთა შვილთა შორის. ჩანს გერმასის ტყავპუჭი ჯერ არ დაუნახავს ცენტურიონს, თორემ იქ ამისთანა სიჩუმე და დუმილი არ იქნებოდა. მას აქედ, რაც აქა ვყარაულობ, ჩემს ყურს მაგდენი არაფერი სმენია: ერთხელ სახედარმა დაიყროყინა, ერთხელ აქლემმა დაიბღავლა, აი ეხლა კი პირველი მამალი ყივის. ადამიანისა კი ერთი სიტყვაც არა მსმენია, ხვრინვაც კი არ გამიგია არც ჩვენის ზორბა სენატორისა, არც მის ჩასუქებულის მეუღლისა; ძნელად საფიქრებელი კია, რომ ისინი ძილში არა ხვრინავდნენ, ეგ სწორედ სასწაული რამ იქნებოდა.

პავლე ფეხზედ წამოდგა, მივიდა ფებიცის სახლის ფანჯარასთან და ყური დაადო ნახევრად ღია ფანჯარას, იქნება გავიგო რამეო, მაგრამ გალილიელის სახლში ჩუჩუნიც არ იყო. ერთის საათის წინად მირიამმი იდგა სწორედ ამ ადგილას და ყურს უგდებდა. რა კი სირონა გაჴსცა და დაასმეზღა, შორი-ახლო აჴყვა მირიამი ფებიცის და თავლის ახლო ჩაიპარა და სენატორის ეზოში შევიდა. მე უნდა შევიტყოო, ამბობდა გულში, აქ რა მოხდებაო, გააფთრებული ქმარი რა დღეს დააყენებსო გერმასსა და სირონასაო. მირიამი გახელებული იყო და ყველაფერზედ მზად იყო იმის ფიქრი, რომ ცენტურიონი იარაღს იხმარებს ორივეზედ, კიდეც უხაროდა, კიდეც აწუხებდა.

მირიამმა შეამჩნივა სინათლის ზოლი, რომელიც ნახევრად ღია ფანჯრიდამ გამოდიოდა, სულ გააღო ფანჯარა, აცოცდა მაღლა და შიშველი ფეხი გაიმაგრა კედელზედ. მაშინ კი ოთახის შიგნით ყველაფერი დაინახა. დაინახა სირონა ქვეშაგებში წამომჯდარი და მის პირდაპირ გალილიელი მრისხანე და გააფთრებული. სირონას ფეხთა წინ ეგდო ტყავპუჭი გერმასისა. მარჯვენა ხელში ფებიცის ეჭირა კანდელი, რომლის სინათლე მოჰფენოდა მის ფერ-მკრთალს სახეს და ქვის იატაქს, სადაც რაღაც სისხლის ფრად ბრწყინავდა სანთლეზედ.

—„სისხლია, სისხლი;“ გაიფიქრა მირიამმა; ჟრუანტელმა გაურბინა ტანში და თვალებზედ ხელი აიფარა. როცა ხელმეორედ გაახილა თვალი, დაინახა მრისხანებით ანთებული პირი-სახე სირონასი, ქმარზედ მიმართული. მაშ სირონა მრთელია და უვნებელიო,—ხოლო გერმასი?

„ეგ გერმასის სისხლია, გერმასისა!“ ამოიკვნესა მირიამმა და გულმა საშინლად ტკივილი დაუწყო: ვაიმე, მე დავღვარე მისი სისხლი, მე ვარ მისი მკვლელი!“

მირიამი მაშინვე ჩამოვიდა ძირს და ჭკუაზედ შემცდარსავით გამალებული გაიქცა ისევ ადრინდელ გზით მთებისაკენ. მშიერს ვეფხვს პირში მივეცემიო, ამბობდა გულ-მოკლული; მირიამი შიმშილს, წყურვილს და სიცივეს ვირჩევო და ამისთანა საშინელის საქმით სინიდის დამძიმებული კიო თვალით ვერ დავენახვებიო დოროტეას, სენატორს და მორმონასაო.

შეშინებული მირიამი იყო ერთი იმათგანი, რომელიც პავლეს ქაჯი ჰგონებოდა. ყოვლის მომთმენი მეუდაბნოე, ხელახლად მოვიდა, ადრინდელ ადგილს დაჯდა და დაიწყო ფიქრი:

— სიცივე კარგა იგბინება. კარგი რამ არის ცხვრის ტყავი. მაგრამ მაცხოვარი ჩვენი უფრო მომეტებულს ტანჯვას ითმენდა. განა მე წუთის-სოფელს იმიტომ არ გამოვეთხოვე, რომ მაცხოვრის გზას დავადგე და მოთმინებითა და წამებითა მოვიპოვო საიქიოს ნეტარება იქ, სადაც ანგელოზნი სუფევენ, საჭირო არ არის რაღაც საბრალო ტყავპუჭი პირუტყვისა. რაც შეეხება ჩემს საქციელს,

მასში ჩრდილიც არ არის თვით-ანგარებისა, — მე ვიტანჯები სხვათათვის; მე აქ ვძაგძაგებ გერმასის გამო, რათა ამით მის მოხუცებულს მამას მწუხარება ავაცდინო. ნეტა ამაზედ უფრო ციოდეს! ამას იქით თავის დღეში... დიახ, თავის დღეში თბილი ტყავი აღარ მიეკარება ჩემს ტანს ამას იქით.

პავლემ ისე რიხიანად დაიქნია თავი თითქო უნდაო თავისი თავი გაამხნევოსო. მაგრამ მაშინვე წარბი შეეკრა და შეეჭმუხნა: ფიქრად მოუვიდა, რომ ხელმეორედ მრუდე გზას დაადგა.

— აი ესეთები ვართ ხოლმე, ყოველთვის, ამბობდა თავის-თავად: ერთს ბეწვის ოდენას კეთილს რასმეს ვიქმთ ხოლმე და გული ჩვენი იმოდენის თავ-მოწონებით და ამპარტავნებით აივსება, რომ ერთის აქლემის საპანე გამოვა. თუმცა სიცივით კბილი კბილსა ველარ მიმხვედრებია, მაგრამ მაინც მე ერთი საბრალო ცოდვილი ვარ და სხვა არაფერი. რა რიგად გახალისდა ჩემი თავ-მოყვარეობა, როცა მოციქულებმა რაიტიდამ წინამძღვარობის ხარისხზედ მიმიწვიეს! სად გამექცნენ მაშინ მჯელობა და მოსაზრებანი, როცა ჩემმა ოთხმა ცხენმა დოღში პირველად გაიმარჯვა, მე მაშინ ჩემს სიხარულს ხმა-მაღლა ვაცხადებდი ვიდრე ეხლა, მაგრამ მაშინ უფრო ნაკლები ამაოთმოყვარეობა მქონდა ვიდრე ეხლა. ესეთნი არიან ბევრნი ჩვენგანი, — უნდათ მაცხოვრის კვალს დაადგნენ, ხოლო და ეტანებიან კი მარტო მის დიდებას ხოლო ყოველს მას, რაც მაცხოვარმა ტანჯვა, წამება და შეურაცხ-ყოფა გამოიარა, გზას უქცევენ დიდის სიფრთხილით. ჰოი მაღალო ღმერთო, შენ ხომ მხედავ, რომ მე გულ-წრფელად ვეძიებ მაგ ტანჯვას, წამებას და შეურაცხ-ყოფას! ხოლო როცა ეკლით დაჩხვლეტით წამომსკდება ხოლმე სისხლი და სისხლი იგი იმ წამსვე გადამეცვლება ვარდათ, განა ჩემი ბრალია? ჩემი ბრალია განა, რომ როცა იმ ვარდს მოვწყვეტ ხოლმე, კვლავ სხვანი ამოდიან და მოეფინებიან გზასა ჩემსა შესამკობლად. ეგრე ყოფილა თურმე! ამ ქვეყანაზედ ისე ძნელია მოიპოვოს კაცმა ტანჯვა უსიხარულოდ, როგორც სიხარული უტანჯველად.

ასე ფიქრობდა პავლე და კბილების ძაგა-ძუგი სიცივისაგან უფრო და უფრო ემატებოდა. უცბად ძაღლების ყეფა მოესმა და ფიქრები დაუფრთხო. ფებიცი სენატორის ჭიის კარს არახუნებდა. პავლე ფიცხლავ წამოდგა ფეხზედ და მივიდა ჭიის კართან. არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია სენატორი და ფებიცი რომ ლაპარაკობდნენ ეზოში.

ფებიცი ეუბნებოდა მომეცი ჩემი ცოლიო, რომელიც შენც სახლში გყავს დამალულიო; პეტრე კი ეფიცებოდა, რომ გუშინდელ დილას აქედ სირონას ჩვენს ეზოში ფეხიც არ შემოუდგამსო. თუმცა მკვახედ და აურზაურად ლაპარაკობდა ფებიცი, მაგრამ პეტრე კი არ აუჩქარდა და გულ-დინჯად პასუხს უგებდა. ბოლოს უთხრა, რომ წავალ ჩემს ცოლსა გკითხავო, იქნება მე რომ მეძინა მაშინ უჩემოდ გაუღო კარი და შემოიყვანაო.

პავლე ხედავდა, რომ გაავთრებული ცენტურიონი წინა და უკან ეზოში ბოლტვით დადის და ბოლოს ნახა, შედგა კიდეც, რადგანაც კარებში გამოჩნდა დოროტეა თავისის ქმრით და მტკიცედ აღიარა, რომ სირონა თვალითაც არ უნახავს და არც იმის ამბავი იცის რამე.

— უფრო კარგი, — წაართვა სიტყვა ფებიცმა: მაშ თქვენს შვილს პოლიკარპს ხომ ნამდვილად ეცოდინება სირონას ბინა.

— ჩემი შვილი გუშინდელს აქედ რაიტშია საქმეზედ წასული, უპასუხა გულ-ნაკლულად პეტრემ: და დღეს დილაზედ მოველით, უნდა მოვიდეს.

— უნდა ვიფიქროთ, რომ დაპირებულზედ ადრე წამოსულა, ჰსთქვა ფებიცმა: ჩვენ რომ ჩვენის ღმერთის დღეობისათვის მზადებაში ვიყავით, ეგ არავისთვის დაფარული არ იყო; არც ჩემი იქ წასვლა იყო საიდუმლო, და ხომ იცით პატრონის სახლიდამ წასვლა ყოველთვის ამხნევებს ქურდსა, ნამეტნავად არშიყსა, რომელსაც ჩვეულებათ დაჰსჩემებია თავის სატრფიალოს ფანჯრიდამ ვარდები აწვდიოს. თქვენ, ქრისტიანებო, თავი იმითი მოგაქვსთ, რომ ცოლ-ქმრობა საღვთო და ხელ-შეუხებელი საიდუმლოება არისო, მაგრამ, როგორც ჰსჩანს, ეგ მარტო თქვენის თანა-მორწმუნეთა ცოლ-ქმრობისათვის არის და წარმართის ცოლებთან კი თქვენს შვილებს ნება აქვთ იქეიფონ. ხოლო აქ კაცმა უნდა იკითხოს: წარმართი ქმარი ნებას მიჰსცემს თუ არა, რომ მისი პატივი ხელში მჩვრად გახადონ? მე რაც შემეხება ამას ვიტყვი, რომ მე ხუმრობის თავი არა მაქვს და პირ-და-პირ გიცხადებ შენ, რომ იმპერატორის ტანისამოს, რომელიც მე მაცვია, ჩირქს არავის მოვაცხებინებ. მე უნდა შენი სახლი მოვჩხრიკო და თუ მე აქ ჩემი ნამუს დაკარგული ცოლი შენს შვილთან ერთად ვნახე, იმასაც და თვითონ შენც სამარ-

თალში მიგცემთ და ჩემის ცოლის შემაცდენელს ისე მოგეპყრობი, როგორც სამართალი მიმიძღვის.

— ტყუილად გაირჯები, უპასუხა პეტრემ და ძლივს შეიმაგრა თავი წყენისაგან: როცა მე ან „ჰოს“ ვამბობ, ან „არას“ — ეგ სამყოფია. ეხლაც გიმეორებ: არა, აქ არც შენი ცოლი გვყავს დამალული, არც ჩემი შვილი. ან მე ან დოროტეას რა ხელი გვაქვს თქვენს ცოლ-ქრმობასთან, ამ სახითვე რა ხელი აქვს ვისმეს რომ შუაღამისას ჩვენს სახლში, ჩვენს ოჯახში შამოგვიხტეს! ამ კარის დირეზედ ფეხის დადგმა მარტო მას შეუძლიან, ვისაც მე თვითონ ნებას მივცემ, ანუ მარტო მსაჯულს ჩემის ხელმწიფისას, რომელსაც მოვალე ვარ აქ შამოსვლა არ დავუშალო. შენ კი აქ შამოსვლის ნებას არ გაძლევ და გიმეორებ: სირონა ჩვენთან არ არის და შენ კარგს იქმოდი რომ წახვიდე და სხვაგან მონახო და აქ ტყუილად დრო არა ჰკარგო.

— ჩემთვის შენი რჩევა საჭირო არ არის! დაუყვირა ცენტურიონმა მკვახედ.

— მეც კი, სწორედ მოგახსენო, უთხრა პეტრემ: იმ გუნებაზედ არა ვარ, რომ შენის ცოლ-ქრმობის აჭიჭუნილი საქმე ვასწორო. სირონას შენ უჩვენოდაც დაიბრუნებ, იმიტომ რომ ცოლის გულის მოგება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე მისი დაჭერა, როცა ქმარს გაექცევა.

— მე შენ გაჩვენებ ვინცა ვარ! დაემუქრა ცენტურიონი და თვალი გადაავლო სენატორის მოსამსახურეებს, რომელიც აქ მოგროვებულიყვნენ და რომელთანაც ამ დროს მივიდა ანტონი უფროსი შვილი პეტრესი: მე ეხლავ დავუძახებ ჩემს ხალხს, დაიყვირა ცენტურიონმა: და თუ თქვენ მაშინაც არ გამომიჩენთ ჩემის ცოლის მომტაცებელს, მთელს სახლს ალყას შემოვარტყამ.

— ერთი საათიც მოითმინე, უთხრა დოროტეამ და ხელი ჩაავლო ქმარს, რომელიც ძლივს იმაგრებდა თავს; ერთი საათიც და შენ შენის თვალით ნახავ, რომ პოლიკარპე მოვა თავის მამის ცხენითა. ნუ თუ მარტო იმ უმანკო ვარდებმა, რომელსაც პოლიკარპე უწყობდა ხოლმე ფანჯარაზედ სირონას, ეჭვში შეგიყვანეს და დაგაჯერეს, რომ შენის ცოლის მტაცებელი ჩემი შვილია, თუ სხვა რამ საბუთი მოგიძღვის, რომ ჩემს შვილს და ჩვენც ამისთანა სამარცხვინო საქმეს გვწამებ?

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ როცა გაავთრებული მამა-კაცნი, როგორც შავი ჭექა-ქუხილის ღრუბელნი მზად არიან ერთმანეთს ეცნენ, მაშინ ერთი სიტყვა გონიერის დედა-კაცისა შეაყენებს ხოლმე იმათ და გაჰფანტავს ღრუბლებსა.

ფებიცი სულაც უნდოდა დაჰყოლოდა პოლიკარპეის დედის სიტყვას, მაგრამ მისმა კითხვამ კი ჩააფიქრა და მოაგონა, რომ მის ეჭვს ძალიან სუსტი საბუთი ჰქონდა. ამასთანაც მოისაზრა, რომ თუ მართლა სირონა აქ არ არის და სხვაგან სადმე წასულა, ხომ ტყუილად ვიგვიანებო და სირონას კი ამით უფრო მეტი დრო ეძლევაო, თავი სადმე შორს დაიმალოსო.

რამდენსამე წამს ყველა ეს მოიფიქრა და რადგანაც როცა საჭირო იყო, იცოდა თავის დაჭერა, ჰსთქვა მორბილებულის ხმით: „მაშ ვნახოთ — როგორმე ამ საქმეს ეშველება.“ მერე არც კი გამოეთხოვა სახლის პატრონებს, მძიმედ მობრუნდა და ნელ-ნელა წავიდა თავის სახლისაკენ. ჯერ კარებთანაც არ მისულიყო, რომ ქუჩიდამ ცხენის თქაფა-თქუფი მოესმა და პეტრემ ხმა მიჰსცა.

— ერთს წუთს მოიცადე: აი პოლიკარპე მოდის და თვითონ პარის-პირ მოგელაპარაკება.

ცენტურიონი შედგა. სენატორმა ანიშნა ბებერს იეტროს ალაყაფის კარი გააღეო. მხედარი გადმოხტა ცხენიდამ, შემოვიდა ეზოში და აქ მდგომებმა პოლიკარპეის ნაცვლად ვიღაცა ამალეკიტელი დაინახეს.

— რა ამბავი მოიტანე? ჰკითხა სენატორმა.

— ბატონმა პოლიკარპემა, შენმა შვილმა, უპასუხა ჭაღარა მორყეულმა და მზე მოკიდებულმა მხედარმა: მოკითხვა მოგახსენა შენა და შენს ცოლს და დამაბარა თქვენთან, რომ შუადღისას მოვა აქ რვა კაცით, რომელიც მუშად დაიჭირა რაითში. ქალ-ბატონს დოროტეას ჰსთხოვს, რომ ბინა და საუზმე მოუმზადეთო.

— როდის აქეთია რაც წამოხვედი? ჰკითხა სენატორმა.

— მზის ამოსვლამდე კიდევ ორი საათი იქნებოდა.

პეტრეს თითქო გულიდამ ქვა აეხსნაო, ისე თავისუფლად ამოისუნთქა, რადგანაც ეხლა სრულიად დააჯერა გული, რომ მისი შვილი ამ საქმეში უბრალოა. მაგრამ ამით თავი კი არ გაიმზვიადა ფებიცის წინაშე; პირიქით, საკუთრად ეხლა შეეცოდა ეს უბედური კაცი მოუბრუნდა სრულის გულ-მტკივნეულობით და უთხრა:

— ნეტავი ამ კაცს შენის ცოლის ამბავიც შეეტანა სად არის. ამ უდაბნოს მყუდრო ცხოვრებას ვერ შეეჩვი-

გა,—იქნება იმისგამოც გაიქცა, რომ იმისთანა ადგილს დაბინავდეს, სადაც მის ახალ-გაზრდას და მშვენიერს არსებას უფრო მეტი სიფართოვე ექმნება, ვიდრე ამ მიყრუებულს უდაბნოში.

ფებიცმ უარის საყოფელად ხელი გაიქნივა, თითქო უნდაო თქვას, მე უფრო კარგად ვიცი რისთვისაც გაიქცაო და დაუმატა: მე ნიშანს გაჩვენებ, რომელიც იმ დამურა ფრინველს ჩემს ბუდეში დაუგდია; იქნება იცოდე ვის ეკუთვნის. ჰსთქვა და გაჰსწია თავის სახლისაკენ. ამ დროს ალაყაფის კარი გაიღო და შემოვიდა პავლე; თავი დაუკრა სენატორს და ყველას იქ მდგომს და მიაწოდა პეტრემ საყდრის გასაღები. ამ დროს მზეც კარგა ამოვიდა და თავიდამ ფეხამდე გაანათა მეუდაბნოე. პავლეს შერცხვა დოროტეასი და აწითლდა, რადგანაც პერანგის ამხანაგი აქა-იქ გამოფლეთილი ჰქონდა და ტიტველა სწორედ რომ ფალავანური ბარკლები უჩანდა.

პეტრეს დღევანდლამდე კარგის მეტი პავლეზედ არა შეეტყოთ რა, მაგრამ მაინც კიდევ იმისი აქ მოსვლა ამ დროს არ იამა, იმიტომ-რომ რაც ჩვეულების გარედ მოხდებოდა ხოლმე, შლიდა იმ წესს და რიგს, რომელიც, მისის აზრით, ყოველს ფერში საჭირო იყო. პავლემ ეგ უსიამოვნობა მალე შეამცნივა სენატორს, იმიტომ-რომ სენატორმა ისე ჩამოართვა გასაღები, რომ ხმა არ გაუცია. პავლეს კი უნდოდა იმისი აზრი შეეტყო და ამიტომაც რაღაც მორცხობით წარმოჰსთქვა: „ჩვენ ჩვეულებათ არა გვაქვს ხალხში გამოვიდეთ და ტყავი არ გვესხას, მაგრამ ეხლა ასე ვარ, უტყავოდ, რადგანაც ტყავი დავკარგე.

ეს სიტყვა ჯერ არც კი გაეთავებინა, რომ ფებიციც მოვიდა გერმასის ტყავით ხელში, მიუბრუნდა სენატორს და უთხრა:—აი რა ვიპოვე ოთახში, როცა შინ დავბრუნდი.

— აბა როდის გინახავს, რომ პოლიკარპს როდისმე მაგისთანა წამოსასხამი ეტარებინოს, ჰკითხა დოროტეამ.

— როცა ღმერთნი ადამიანთა ქალებს ეწვევოდნენ, უპასუხა ცენტურიონმა: მაშინ სხვის სახეს მიიღებდნენ ხოლმე; განა კოპწია ალექსანდრიელს არშიყს კი დაუშლიდა რამე, რომ მორთულიყო ერთის ვისიმე სულელის მეუდაბნოის ჭუჭყიან ტანისამოსითა? მაინც მე აღვიარებ, რომ შენის შვილის თაობაზედ ვცდებოდი,—განა არის ვინმე იმისთანა, რომ არ შემცდარიყოს? ამას ნუ მიწყენ, სენატორო! შენ ჩემზედ მეტს ცხოვრებ ამ ადგილებში და მითხარი: ვის უნდა მოეტანოს ჩემთვის საჩუქრად ეს ახალთ-ახალი ტყაპუჭი რქებთან ერთად?

პეტრემ გასინჯა ტყავი და ჰსთქვა: ეს მეუდაბნოის ვისმეს ტყავია, ყველას იქ მთაში განდეგილს ამისთანა ტყავი აცვიათ.

—. მაშასადამე ჩემს სახლში შემოთრეულა ვინმე იმ უქმათ-მოწანწალეთაგანი! დაიყვირა ცენტურიონმა: მე იმპერატორის მსახური ვარ და ნაბძანები მაქვს, რომ ყოველი რაც აქაურების ანუ მგზავრების მშვიდობიანობას ამღვრევს, მოვსპო,—ასე მიწერია ბძანების ქაღალდში, რომელიც რომიდამ გამომატანეს, მე ვუბძანებ, რომ იმ საძაგლებს ყველას თავი ერთად მოუყარონ, როგორც ტყის ნადირებს მოსარეკში,—ყველანი ქურდები და მცარცველნი არიან და მაშინ მე ვიცი როგორ გამოვაჩენინებ დამნაშავეს.

— მაგისათვის იმპერატორი ვერაფერს მადლობას გეტყვის, უპასუხა პეტრემ: ისინი სულ ღვთის-მოშიშნი ქრისტიანები არიან და ხომ იცი, რომ თვითონც კონსტანტინე....

— კონსტანტინე? დაცინებით განიმეორა ცენტურიონმა: იქნება მოინათლოს კიდეც, რადგანაც წყალი არავის არას ავნებს; და თუ არ ნდომობს დიდის დიოკლეტიანისაებრ მაგ ხროვის ამოწყვეტას, რომელიც თან დასდევს ხოლმე ვიღაცა მონათლულს თვალთ-მაქცს, იმისათვის არ ნდომობს, რომ სახელმწიფო უგაცოდ დარჩებოდა. აბა ეს ფული გასინჯე: ერთს მხარეზედ ხომ იმპერატორის სახეა, მეორეზედ რაღას ხედავ? თქვენს ნაზარეველს თუ ჩვენს ძველს ღმერთს— დაუსრულებელს უძლეველს მზესა? წყალს, რომელშიაც ხვალ კონსტანტინეს აბანებენ, კონსტანტინევე ხვალ-ზეგით დააშრობს და როცა დრო ხელს მიჰსცემს გამოიყვანს მოედანზედ ისევ ძველს თქვენის ამაოთ-მორწმუნოების პირის-პირ და ძველნი ღმერთნი ხელს მოუმართვენ.

— მინამ ეგ მოხდება, უთხრა ტკბილად პეტრემ: ბევრი დრო გაივლის, ჯერ კი კონსტანტინე ქრისტიანების მომხრეა. მე ერთს კარგს გირჩევ,—ეგ საქმე ეპისკოპოზს აღაპიტს გარდაეცი.

— იმისათვის ხომ არა, რომ მომართვას თქვენი ქადაგება, რომელიც დედა-კაცის საფერიც არ არის, დაცი-

ნებით ჰსთქვა ცენტურიონმა: ფეხი აუღოკეო შენს მტერსაო, ეს უნდა მითხრას განა? უკაცრაოდ. ყველანი ვინც კი აქ ზევით, მთაში არიან, სულ აკაზაკები არიან, ამას ჴელმეორედ ვამბობ საქვეყნოდ, და როგორც ავაზაკებს ისეც მოეპყრობიან იმ ბოროტ სულელებს იმ დრომდე, ვიდრე არ გამოაჩენ იმას, ვინც მინდა. დღესვე მივესვი.

— დღესვე შენს გულის-წადილს აისრულებ, იმიტომ-რომ ეგ ტყაპუჭი მე მეკუთვნის. ეს სიტყვები ჴმა-მაღლა და თამამად წარმოჰსთქვა პავლემ. ყველამ ამას და ცენტურიონს შემოხედა.

პეტრესაც და მის მოსამსახურეებსაც ხშირად უნახავთ პავლე და ყოველთვის ტყაპუჭი ზედა ჰსცმია და ჰსთქვეს, პავლეს ტყაპუჭი ძალიან ჰგავს იმას, რომელიც ეხლა ფებიცის ჴელში ეჭირა.

პავლემ რომ თავისა თავი გაამხილა, ყველას, ვინც კი პავლეს და სირონას იცნობდა, უკვირდათ, მაგრამ მაინც კიდევ ყველამ თვითონ სენატორმაც კი დაიჯერა მისი სიტყვები.

მარტო დოროტეამ საეჭვოდ მიიღო და გაიქნივა თავი, არა მგონიაო. თუმცა სენატორის ცოლს ვერა გზით ვერ აეხსნა ყოველივე ის, რაც ესმოდა და ხედავდა, მაგრამ ეს კი ცხადი იყო მისთვის, რომ ეს კაცი სხვის ცოლის მტაცებელს არა ჰგავნდა, და არც ის მშვენიერი ქალი ამის გულისათვის თავის ნამუსს არ დაჰკარგავდა. დოროტეას მაინც და მაინ არა ჰსჯეროდა უნამუსობა სირონასი, რომელიც წრფელის გულით უყვარდა და თუმცა ცუდი კია, მაგრამ დედობრულმა თავ-მოწონებამ იქამდინ წაიტყუვა, რომ ეს გააფიქრებინა: თუ მართლა ლამაზმა ქალმა ცოდვა რამ მოინდომა, უეჭველია უფრო მის მოხდენილს შვილს პოლიკარპს აირჩევდა და არა ამ ჭუჭყიანს და ბებრუცანა კაცს.

სულ სხვა რიგად უდუღდა გული ცენტურიონს. მას სჯეროდა მეუდაბნოის სიტყვა მით უფრო, რომ რამოდენადაც ცოლის შემაცდენელი უღირსი იქმნებოდა იმოდენა უფრო დიდად საძრახი იყო სირონა, იმოდენად უფრო შეუნდობელი და შეუწყნარებელი იყო შეცოდება. თვითონ მის თავმოყვარეობისათვისაც ისეთი სამარცხვინო არ იყო ცოლის ღალატი პეტრესა და დოროტეას წინაშე, იმიტომ ვითომ რომ იმის ცოლს უკეთესი კი არ უქებნია, არამედ გარყვნილობის გამო მისცემია პირველს, ვინც კი შეხვედრია, თუნდა ამ ძონძებში გახვეულს მთხოვარასა. უფრო მეწყინებოდაო, ამბობდა გულში, რომ ჩემზე უფრო ახალგაზდა, უფრო ლამაზი და უფრო ღირსეული აერჩიაო.

ბევრჯელ ჰქონია ამას დანაშაული ცოლის წინაშე, მაგრამ ამ ჟამად კი ყველა თავისი დანაშაულობა, როგორც ბუმბული ისე ედო სასწორზედ, საქციელი კი სირონასი ტყვიასავით სასწორსა ჰსძლევდა. ფებიცი ეხლა ჰგავნდა იმ კაცს, რომელიც ჩავლულა საფლობში და უეცრად უგრძნია ფეხის ქვეშ მაგარი მიწა. ყოველმა ამან გამბედაობა დაუბრუნა და იმ სითამამით წაიწია მეუდაბნოისაკენ, როგორათაც ეგ ჩვეულებათ ჰქონდა ხოლმე, როცა იმპერატორის წინაშე ჯარს წინ მიუძღოდა.

ძალად მოირიხიანა თავი, თავ-მოწონებით ტანში გაიმართა და ისე ამაყად მივიდა ალექსანდრიელთან, რომელმაც ერთის ბიჯითაც უკან არ დაიწია და თავიდამ ფეხამდე ისეთის ღიმილით გაზომა რომ პეტრესა და ყველა იქ მდგომს ელდა ეცათ.

კანონით ცოლის შემაცდენელი ჴელში უნდა მიეცათ სრულიად ქმრისათვის; მაგრამ ფებიცის ეგ გუნებაშიც არ გაუტარებია: მარტო ზიზღი და მძულვარება ისმოდა მის სიტყვებში, როცა წამოიძახა:

— ვინც მუნიანს ძაღლს ჴელს დააწებს დასასჯელად, ის ჴელს გაიმუნიანებს. ჩემი ცოლი, რომელმაც მიღალატა მე შენის გულისათვის, და შენ, მუნიანო მთხოვარავ, ორნივ ერთმანერთის ღირსნი ხართ. როგორც მატლს ისე გაგსრესდი, რომ მინდოდეს, მაგრამ ჩემი ხმალი ჩემის ჴელმწიფისასა და შენს უწმინდურს სისხლში ვერ გავსვრი. მაინც და მაინც ტყუილაო კი არ გაგიხდია, შე მურტრუკო, ეს ტყაპუჭი: მეტად სქელია და მე ჯაფა აღარ მომივა გამძრო შენთვის ეგ ტყაპუჭი, რომ ღირებულის სასჯელით დამესაჯე. ნუ გეშინიან, ამდვენს მოგარტყამ, რომ გულნაკლულად არ დამრჩები. თუ მეტყვი სად არის ეხლა შენი საყვარელი, ცოტა მოგხვდება, რამოდენაც გვიან მეტყვი, იმდენად ბევრსა გცემ. ეი, შენ! მომეცი ერთი ეგ შოლტი!

გამოართვა ერთს იქ მდგომარეს შოლტი კამეჩის ტყავისა ცვირ-წინ აეუდა პავლეს და ჰკითხა: — სირონა სად არის?

— ჰსა, დამკარ რაღა, ჰსთხოვდა პავლე და უჩვენებდა შიშველს მხრებს: რაც უნდა მწვავი იყოს შენი შოლტი, მაინც იმოდენას ვერა იქმს, რომ ჩემის ცოდვების სამაგიერო იყოს. ხოლო სად არის შენი ცოლი, მაგისი სწორედ გითხრა, არა ვიცი რა, თუნდა, მაწრუხით მაგ-

ლიჯო ხორცი და არა მაგ უბრალო თასმით დამიზილო ტანი.

პავლეს სიტყვებში რაც ბავშური გულწრფელობა იყო ასე რომ ცენტურიონმა კინაღამ არ დაიჯერა კიდეც. მაგრამ ჩვეულებათ არა ჰქონდა თავისი მუქარა არ აესრულებინა და იმ საკვირველს მეუდაბნოეს უნდა ეგრძნო, რომ ფებიცის ხელი არა ზელს იქ, საცა ტკენა ჰსწვადიან.

პავლემ იგრძნო კიდეც ეგა, მაგრამ ერთხელაც არ ამოუკვნესია, არც კი შეტოკებულა. როცა ცემით დაიღალა, ფებიცამ ქშენით პირვანდელი კითხვა განუმეორა გვემულს მეუდაბნოეს, რომელმაც ასე უპასუხა: მე ხომ წინადვე გითხარ, რომ არ ვიცი და ამიტომ მე ვერას გაცოდინებ, შენი ცოლი სად არის?

პეტრემ არა ერთხელ მოიწადინა მიშველებოდა თავის თანა მორწმუნეს, მაგრამ თავს იმაგრებდა და სრულს თავისუფლებას აძლევდა გულ ნატკენს ქმარს, რადგანაც ეგონა, რომ აგრე თავზედ ლაფ დასხმულ ქრმისაგან კიდევ კარგია მარტო ამ ცემას ამყოფინებსო. ეხლა კი მიშველება გაბედა თავის-თავად, თუმცა დოროტეაც კი ძალას ატანდა მიეშველეო. პეტრე მივიდა ცენტურიონთან და უთხრა:—,,შენ ეხლა მიუწყე დამნაშავეს ის, რის ღირსიც იყო.. თუ გინდა უფრო სასტიკად დასაჯო, კიდევ გირჩევ ეპისკოპოზს მიჰმართო. აი ხომ ნახე, შენ მაგით ვერას გახდები. დამიჯერე—მე უფრო კარგად ვიცნობ მაგ კაცს და ყოველს მის მგზავსსა—მაგან მართლა არ იცის სად არის შენი ცოლი და შენ აქ ტყუილად ჰკარგავ დროს და ღონესა—იმის მაგიერ რომ მიიღო რამე ზომიერება შენის ცოლის საპოვნელად. მე მგონია, შენი ცოლი ეცდება ზღვით ეგვიპტეში გავიდეს აქედამ, თუ შეიძლება, ალექსანდრიაში გავა და ხომ იცი რაც არის ის ბერძნის ქალაქი, იქ შენი ცოლი საუკუნოდ დაიღუპება.

— რა უშავს? დაიცინა ცენტურიონმა: იქ იგი იპოვის მას, რასაც ეძებდა: სულ ახალ ახალს შექცევას და ყოველ გვარს საქეიფოს. იმისთანა ახალგაზდა ქალისათვის, რომელსაც აგრე უყვარს ყველა სიტკბოება წუთისსოფლისა, განა ბიწიერებაზედ უკეთესი შექცევა სხვა რამეღა იქმნება? მე კი წინ გადვუდგები და გზას გავუღობე. შენ მართალი მითხარ: მე აქ ტყუილად დროსა ვკარგავ და იმას ვმატებ. თუ მართლა იმას ზღვისაკენ გაუგნია, ეხლა ის......ჰეი, თალიბ! დაუძახა პოლიკარპისაგან გამოგზავნილს ამალეკიტელს: შენ რაიტიდამ მოდიხარ,— ხომ არ შეგხვედრია გზაზედ მიმავალი ქალი პირ თეთრი და ოქროს ფერ თმებიანი?

კაცი, რომელსაც ფებიციმ ჰკითხა, ძალიან პატივცემული იყო სენატორის სახლში, რადგანაც მართალ და ჭკვიან კაცად იყო ცნობილი, თვითონ ფებიციც კი პატივსა ჰსცემდა. თალიბი დიდი ხანი ელოდებოდა ამ კითხვას და უპასუხა;

— ელ-გესვიდამ ორს აღაჯზედ დიდი ქარვანი შემომხვდა, იმ ქარვანს მოსდევდა იმისთანა ქალი, როგორიც შენ მანიშნე. თქვენი ლაპარაკი რომ გავიგე მე მინდოდა ეგ მეთქვა, მაგრამ კოღოს ბზუილს ვის გააგებინებდი, როცა ჭექა-ქუხილია!

— ერთი ფეხ მოტეხილი გოშია ხომ არა ჰყოლია თან? იკითხა ფებიციმ და სული განაბა პასუხის ლოდინში.

— რაღაც კი ეჭირა ხელში,—უპასუხა თალიბმა; მთვარის შუქზედ ძუძუ მწოვარა ყმაწვილსათ მეჩვენა. ჩემი ძმაც ქარვანს მოსდევდა და იმან მითხრა, რომ ეს ქალი უსათუოდ გამოპარულიაო, რადგანაც ფულის მაგიერ სულ ოქროს ბეჭდებს ურიგებს, როცა ყიდულობს რასმესო.

ფებიცის გაახსენდა ერთი მშვენიერი ბეჭედი, რომელიც გლიცერას დაჰსტყუვა და ქორწინების დღეს სირონას აჩუქა.

ფებიციმ უბძანა პეტრეს მოსამსახურეს კარგად ასვას და აჭამოს თალიბის ცხენსა და თვითონ კი შეუდგა მზადებას, რომ მდევრად გამოუდგეს ქარვანს. მალე მოემზადა და გამოუდგა ქარვანს.

როცა ფებიცის ცხენის ხმა მიჰსწვდა, პავლემაც თავი დაანება სენატორის ეზოს და წავიდა.

— არა, თუ ღმერთი გწამს, პეტრევ, უთხრა ქმარს დოროტეამ და ანიშნა პავლე, აღმართზედ მიმავალი: უცნაური დილა არ იყო ეს დილა! თითქო ყველაფერი ცხადიაო როგორც ხელის გულზედ, მაგრამ მაინც კიდევ მე აქ არაფერი არ მესმის. გული მეღევა, რომ მაგონდება რა დღე დაადგება საწყალ სირონას, როცა თავის გააფთრებულს ქმარს ხელში ჩაუვარდება.

(შემდეგი იქნება)

გამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ პირველს ნოემბერს 1878 წლისა ტირაჟში ამა ბანკის შემდეგნი გირავნობის ფურცელნი:

$43^1/_2$ წლისა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | სერიისა | 100 მანეთიანი | | №№ 11, 12 და 16; |
| 4 | — | — | — | №№ 11, 12 და 16; |
| 5 | — | — | — | №№ 11 და 16; |

$18^7/_{12}$ წლისა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | სერიისა | 1000 მანეთიანი | | № 11, |
| — | — | 500 | — | № 21; |
| 3 | — | 500 | — | №№ 11 და 16; |
| 4 | — | 1000 | — | № 11, |
| — | — | 500 | — | №№ 11 და 16, |
| — | — | 100 | — | № 11; |
| 5 | — | 100 | — | № 11. |

ამა გირავნობის ფურცელთა სარგებლის ზღვევა მოისპობა 1879 წლის 1-ის იანვრიდამ.

ტირაჟში გამოსულთა გირავნობის ფურცელთა და ვადითი კუპონთა ნაცვლად ფული მიიღება: ქუთაისს, საადგილ-მამულო ბანკში; პეტერბურღს, ვინეკენ და კამპ-ის კანტორაში, და თბილისს, თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. ვადაზე ადრე ფულის მიღება შეიძლება 7%-ის გამორიცხვით.

## განცხადება.

ვამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე 18 §-ის ძალით ოც-და-რვა (28) ნოემბერს ამა 1878 წლისა, გამგეობაში, რომელიც არის ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ, თავადი ნიჟარაძის სახლში, გაიყიდებიან საზოგადო ვაჭრობით უძრავნი მამულნი ქვემო მოხსენებულთა პირთა, ვადითი გადასახადთა, დაწყსებულთა ბანკის წესდების §§ 31, 32 და 33-ის ძალით, მათ მიერ შემოუტანლობისა გამო:

წერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა, ვასილი სიმონის ძისა და შტაბს-კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა—20 დესიატინი და 1,980 კვადრატული საჟენი სახნავი და სათიბი მიწა, სახელდობ „სარბევი,“ მდებარე წინაულში ქუთაისის უეზდისა. თავნი ვალი 2,000 მანეთი, შემოუტანელი გადასახადი 150 მანეთი და 50 კაპეიკი.

მათივე—ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვით-კირისა და მეორე ხისა, ეზოით, სახნავით, ვენახით და ტყითურთ, ზომით ოთხი (4) დესიატინი და 300 კვადრატ. საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, ბაღის ქუჩაზე. თავნი ვალი 6,560 მანეთი და 73 კაპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 782 მანეთი და 80 კაპ.

ღოღობერიძისა, გიორგი ბესარიონის ძისა,—ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები, ეზოთურთ, ზომით 276 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, მიხაილის ქუჩაზე. თავნი ვალი 17,737 მანეთი და 64 კაპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 1,297 მანეთი.

ვაჭრობა დაიწყება ბანკისადმი ვალით იმ ხარჯების ზედ დამატებით, რომელიც ბანკს მოუხდა მამულის გასასყიდლად დანიშვნისამებრ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში აღწერაები და საბუთები, რომელნიც გასასყიდელთა მამულთა შეეხებიან. თუ პირველი ვაჭრობა არ გამოდგა, მაშინ დაინიშნება მეორე და უკანასკნელი—ამა 1878 წლის 14 ქრისტეშობისთვისათვის (§ 24). მამულის მყიდველთ შეუძლიათ ბანკის ვალი თავის თავზე გადაიტანონ (§ 22).

**Дозволено цензурою, Тифлисъ 15 Ноября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ.** რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე